სპორტი

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ივლისი ორშაბათი 2018
№ 128 (15 377) ფასი 1₾

მსოფლიოს თასი 2019
პირველი საკვალიფიკაციო

ილიას ზუროსი: ბოდიში ქომაგს, ქართველ ხალხს და ქვეყანას

ДЕЛИЧ, 19:00
საქართველო
VS
ავსტრია

9

ევროპასაფიფაზე
ავსტრალია ესპანეთს
ეგვიპტე
ირანს 50:87

გიორგი ჟამერაშვილის ფოტო

მშვიდობით

როცა სათქმელი არაფერია

2–5

TM©

გერმანიის შემდეგ უმარილო ფეხბურთი არგენტინამ, პორტუგალიამ და ესპანეთმა ითამაშეს

მესი, რონალდო და ინიესტა შინ წავიდნენ

ცნობილია ორი მეოთხედფინალური წყვილი:

საფრანგეთი VS ურუგვაი
რუსეთი VS ხორვატია

1/8 ფინალი

ხორვატია 1:1 დანია

დ.დ. 1:1, პენ. 3:2

01.07. ნიჟნი ნოვგოროდი. ნიჟნი ნოვგოროდ სთედიუმი. 40 851 მაყურებელი

გოლები: 0:1 მ. იორგენსენი (1), 1:1 მანჯუკიჩი (4)
გამოუყენებელი პენალტი: მოდრიჩი (116)
პენალტების სერია: 0:0 ერიკსენი (მეკარე), 0:0 ბადელი (მეკარე), 0:1 კიაერი, 1:1 კრამარიჩი, 1:2 კრონ-დელი, 2:2 მოდრიჩი, 2:2 შიონე (მეკარე), 2:2 პივარიჩი (მეკარე), 2:2 ნ. იორგენსენი (მეკარე), 3:2 რაკიტიჩი
ხორვატია (4-1-4-1): სუბაშიჩი - ვრსალკო, ლოვრენი, ვიდა, სტრინიჩი (81. პივარიჩი) - ბროზოვიჩი (71. კოვაჩიჩი) - რებიჩი, მოდრიჩი, რაკიტიჩი, პერიშიჩი (98. კრამარიჩი) - მანჯუკიჩი (108. ბადელი)
მწვრთნელი: ზლატკო დალიჩი
დანია (4-1-4-1): შმეიხელი - დალსგაარდი, კიაერი, მ. იორგენსენი, კნუდსენი - კრისტენსენი (46. შიონე) - პოულსენი, ერიკსენი, დელენი (99. კრონ-დელი), ბრაიტვაიტი (105. სისტო) - კორნელიუსი (66. ნ. იორგენსენი)
გაფრთხილება: მ. იორგენსენი (115)
არბიტრი: ნესტორ პიტანა (არგენტინა)

დანიელმა დანია სახლში გაუშვა

ლუკა მოდრიჩი და მატჩის გმირი, ხორვატიის ნაკრების მეკარე დანიელ სუბაშიჩი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე მუნდიალის ერთ-ერთი ყველაზე არასანახაობრივი პლეი ოფი ვნახეთ. არადა, ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით ამ ბოლო წლებში, რომ დანიისა და, მეტადრე, ხორვატიის ნაკრებებს სწორედაც რომ შეუძლიათ სანახაობრივი ფეხბურთის თამაში...

შიშის სინდრომი

კონკრეტულ შემთხვევაში კი მოხდა ისე, რომ ნამდვილი ფეხბურთი მხოლოდ თამაშის პირველ ოთხ წუთში ვნახეთ. სწორედ ამ დროის განმავლობაში გავიდა ორი გოლი. რა მოხდა შემდეგ? მოხდა ის, რაც ძალიან აზარალებს თამაშის სანახაობრივ მხარეს. ორივე გუნდი დარწმუნდა, რომ დაცვაში დაშვებული ერთი შეცდომაც კი მართლაც რომ დამღუპველი შეიძლებოდა, ყოფილიყო და რისკს ბოლომდე მოერიდა.

დანიის ნაკრების შუახაზელებმა ეს შეხვედრა დიდებულად ჩაატარეს. ბევრი ამ მატჩში ხორვატიის ნაკრების უდავო უპირატესობას ელოდა. არადა, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დანიელთა ნახევარდაცვის დამსახურებაა.

მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის მთლიანად შეძლეს ხორვატთა ორი ლიდერის, **ლუკა მოდრიჩისა** და **ივან რაკიტიჩის** განეიტრალება შეტევით ფაზაში. ამ ფაქტმა **ზლატკო დალიჩის** გაწვრთნილი გუნდის შეტევებს სიმწვავე ძალიან მოაკლო.

რა უნდოდა დანიას?

მთელი მატჩის განმავლობაში დანიელები ძალიან მწყობრად იცავდნენ თავს. **აგე ჰარეიდეს** გუნდს შეგნებულად მიჰყავდა თამაში პენალტების სერიამდე. მწყობრი დაცვის ფონზე დანიელები, მართალია, ხშირად ვერ ამწვავებდნენ თამაშს, მაგრამ არც მეტოქეს აძლევდნენ ამის საშუალებას.

ნიშანდობლივი იყო ის ფაქტი, რომ ჩრდილოევროპელთა შეტევებში მცველები აქტიურად კი ერთვებოდნენ, მაგრამ ისინი იოტისოდენ უზუსტობასაც კი არ უშვებდნენ დაცვით ფაზაში...

მაინც ლუკა, მაგრამ...

...მეორე დამატებითი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა **ლუკა მოდრიჩმა** დიდებული პასით მეკარეს პირისპირ შეატოვა **ანტე რებიჩი**. **მათიას იორგენსენმა**, ვინც დანია პირველივე წუთზე დააწინაურა, რებიჩი გაზონზე დასცა. პენალტი ეჭვს არ იწვევდა. დასარტყმელად „რეალის" ვარსკვლავი მივიდა და **კასპერ შმეიხელს** ვერ აჯობა. ლეგენდარული **პეტერ შმეიხელის** ვაჟმა დანია მარცხისგან იხსნა...

ცოტა დრო კი რჩებოდა, მაგრამ თითქმის გამორიცხული იყო, მორალურად გატეხილ დანიას ანგარიშის გათანაბრება მოეხერხებინა.

პენალტების სერია

მერე იყო უაღრესად დაძაბული პენალტების სერია. ნაღდი გმირობები ჩაიდინეს ხორვატთა მეკარე **დანიელ სუბაშიჩმა** და იმავე შმეიხელმა, რომელთაც ჯამში 5 პენალტი მოიგერიეს: 3 - სუბაშიჩმა, 2 - შმეიხელმა. სწორედ ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი - დანიელმა დანია სახლში გაუშვა. კაცს შმეიხელი მართლაც შეეცოდებოდა. კასპერმა, ვისაც ლეგენდარული მამა ტრიბუნიდან ქომაგობდა, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავისი გუნდი მეოთხედფინალში გაეყვანა, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა, თუმცა მასაც თანაბრად ეკუთვნის აპლოდისმენტები.

ფაქტები

*** 1998 წლის შემდეგ ხორვატია პირველად გავიდა მუნდიალის მეოთხედფინალში.**

*** დიდ ტურნირებზე დანიამ სამჯერ მიიღო მონაწილეობა პენალტების სერიაში და ორჯერ წააგო.**

*** ამ მუნდიალის ყველაზე სწრაფი გოლი შეაგდო მათიას იორგენსენმა. ეს მატჩის 57-ე წამზე მოხდა. ამაზე სწრაფი (29-ე წამზე) გოლი მუნდიალების ისტორიაში ბოლოს 2014 წელს გავიდა და ეს განასთან მატჩში ამერიკელმა კლინტ დემპსიმ შეძლო.**

*** მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა ერთ სათამაშო დღეს ორივე შეხვედრის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. მანამდე, ეს მოხდა 1986 წლის 21 ივნისს, როცა დაზავდნენ საფრანგეთი-ბრაზილია და მექსიკა-გფრ.**

ანტონ კორინთელი

1/4 ფინალი

შაბათი. 7 ივლისი

რუსეთი-ხორვატია 22:00

მატჩის შემდეგ

აგე ჰარეიდე (დანია): „იმის შეფასებას, რაც დღეს მოხდა, დრო სჭირდება. ეს არის მძიმე მომენტი ჩვენი გუნდისთვის. ამ მატჩმა ყველა ჩვენგანისგან უდიდესი ენერგია წაიღო. ჩვენ ახლა იმედგაცრუებულები ვართ, მაგრამ გავაანალიზებთ შეცდომებს და უფრო ძლიერები დავბრუნდებით".

ზლატკო დალიჩი (ხორვატია): „ვულოცავ ჩვენს ყველა ქომაგს. ეს იყო ნერვების ნამდვილი ომი, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ახლა მიწაზე უნდა დავეშვათ და მეოთხედფინალზე ვიფიქროთ".

1/8 ფინალი

რუსეთი 1:1 ესპანეთი

დ.დ. 1:1, პენ. 3:4

01.07. მოსკოვი. ლუჟნიკი არენა. 78 011 მაყურებელი

გოლები: 1:0 იგნაშევიჩი (12-საკ. კარში), 1:1 ძიუბა (41-პენ)
პენალტების სერია: 1:0 ინიესტა, 1:1 სმოლოვი, 2:1 პიკე, 2:2 იგნაშევიჩი, 2:2 კოკე (მეკარე), 2:3 გოლოვინი, 3:3 რამოსი, 3:4 ჩერიშევი, 3:4 ასპასი (მეკარე)
ესპანეთი (4-2-3-1): დე ხეა - ნაჩო (70. კარვახალი), პიკე, რამოსი, ალბა - კოკე, ბუსკეტსი - დავიდ სილვა (67. ინიესტა), ისკო, ასენსიო (104. როდრიგო) - დიეგო კოშტა
მწვრთნელი: ფერნანდო იერო
რუსეთი (3-4-2-1): აკინფეევი - კუტეპოვი, იგნაშევიჩი, კუდრიაშოვი - ფერნანდესი, კუზიაევი (97. ერიოხინი), ზობნინი, ჟირკოვი (46. გრანატი) - სამედოვი (61. ჩერიშევი), გოლოვინი - ძიუბა (65. სმოლოვი)
მწვრთნელი: სტანისლავ ჩერჩესოვი
გაფრთხილება: პიკე (40), კუტეპოვი (54), ზობნინი (71)
არბიტრი: ბიორნ კუიპერსი (ჰოლანდია)

გადამწყვეტი პენალტი. იგორ აკინფეევმა რუსები მეოთხედფინალში გაიყვანა

ტიკი-ტაკას კრახი: კოკემ წყალი ვეღარ მოიტანა...

რუსეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავიდა. სტანისლავ ჩერჩესოვის გაწვრთნილმა გუნდმა 11-მეტრიანების სერიაში მოუგო ესპანეთს - კოკესა და იაგო ასპასს რუსთა მეკარე იგორ აკინფეევმა ორი პენალტი არ გაატანინა...

ცუდი ტიკი-ტაკა

ბოლო წლებია, ესპანეთის ნაკრები ეგრეთ წოდებულ „ტიკი-ტაკას" თამაშობს. ადრე „ფურია როხას" ძირითადი ბირთვი უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ახლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირენეელთა საფირმო იარაღი მათივე შესრულებით ნაკლებად ეფექტური გახდა.

რა გვაძლევს ამის თქმის საშუალებას? მთელი შეხვედრის განმავლობაში რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებისთვის ძალიან იოლად გასაშიფრი იყო რუსთა შეტევები. ესპანეთის ნაკრებს შეხვედრის ძირითად დროში მხოლოდ ორი მომენტი ჰქონდა და ორივე შემთხვევაში დიდებულად იმოქმედა რუსეთის ნაკრების მეკარე **იგორ აკინფეევმა**.

ისე კი, ესპანელთა შეტევების დასაწყისში არათუ რუსთა დაცვას, არამედ უბრალო გულშემატკივარსაც კი თავისუფლად შეეძლო, ეწინასწარმეტყველა ის, თუ როგორ განვითარდებოდა იერიში.

ლოგიკური იყო, საქმე პენალტების სერიამდე რომ მივიდა - ძირითად და დამატებით დროში მოგებას არც ერთი ნაკრები არ იმსახურებდა.

აქილევსის ქუსლი

ესპანეთის ნაკრების თამაშში რამდენიმე ზადი აშკარად ჩანს და, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარია ტაქტიკური ერთფეროვნება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირენეელთა შესრულებით ჩვენ ვერ ვნახეთ ვერაფერი, გარდა ბურთის გაუთავებელი გორებისა.

როცა მისი უდიდებულესობა ფეხბურთი ხდება ღარიბი ერთი გუნდის შესრულებით, იმ გუნდის ბოსტანში კენჭები აუცილებლად უნდა ვისროლოთ. რუსეთის ნაკრებისგან არაფერს ველოდით, ესპანეთმა კი ფეხბურთის მოყვარულებს იმედები გაგვიცრუა.

ფერნანდო იეროს გუნდის აქილევსის ქუსლი ამ მატჩშიც გამოვლინდა. გუნდმა დაცვაში უპატიებელი შეცდომა დაუშვა და **სერგეი იგნაშევიჩის** მიერ საკუთარ კარში გატანილი კურიოზული ავტოგოლის შემდეგ **არტიომ ძიუბამ** თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა ანგარიში.

ფეხბურთი და მათემატიკა

ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი და მათემატიკა მაინცდამაინც ვერ მეგობრობენ ერთმანეთთან. ბოლო დროს ფეხბურთში ყველაფერს ითვლიან. ლამის იმასაც, თუ რამდენჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს მოთამაშე მატჩის მიმდინარეობის დროს.

არადა, სპორტის ნომერ პირველ სახეობაში ყველაფერს ციფრებით ვერ განსაზღვრავ. ესპანეთს ყველანაირ მაჩვენებელში უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ თამაშში საქმე სხვანაირად იყო. ერთხელაც დამტკიცდა, რომ ფეხბურთში ბურთის გაუთავებელ გორებას დიდი ვერაფერი პერსპექტივა აქვს, თუ მეტოქის კარის აღების ხერხები გაუთავებლად არ ცვალე და ახალი გზები არ ეძებე.

რაღაც ახალი

„ტიკი-ტაკამ" თავისი მოჭამა. ფაქტია, საძიებელია რაღაც ახალი და აღარ შეიძლება, ეს სათამაშო მოდელი დომინანტი იყოს ფეხბურთში. რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრები „დაბერდა", მაგრამ ისიც უეჭველია, რომ „ტიკი-ტაკა" უკვე გაიშიფრა მსოფლიო ფეხბურთისთვის. ასე, შეიძლება ითამაშო მატჩის რაღაც მონაკვეთში, როცა ტემპის დაგდება გსურს, ან თამაშის ბოლოს, როცა დროის გაყვანა გაძლევს ხელს, მაგრამ 120 წუთი?!

ფაქტები

*** ესპანეთის ნაკრებმა ამ შეხვედრაში 1000-ზე მეტი პასი გააკეთა.**

*** რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ამ მატჩში მოწინააღმდეგეზე 8 კილომეტრით მეტი ირბინეს.**

*** რუსეთის ნაკრებმა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველად გააღწია მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში.**

*** ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეოთხედ დამარცხდა პენალტების სერიაში.**

*** არტიომ ძიუბამ სულ სამჯერ დაარტყა მიმდინარე მუნდიალზე მეტოქის კარის ჩარჩოში და სამივე გაიტანა.**

*** 38 წლის და 352 დღის სერგეი იგნაშევიჩი გახდა ყველაზე უხუცესი მოთამაშე, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ავტოგოლი გაიტანა.**

ალეკო კაკაურიძე

მატჩის შემდეგ

ფერნანდო იერო (ესპანეთი): „ძალიან არ გაგვიმართლა. ეს ფეხბურთია და არ არსებობს უეჭველი რეცეპტი, რომელიც მიგიყვანს გამარჯვებამდე. ჩვენს გუნდში არც ერთ ფეხბურთელს თავი არ დაუზოგავს".

სტანისლავ ჩერჩესოვი (რუსეთი): „ეს მოგება ეკუთვნის რუსეთის ნაკრების გულშემატკივარს. მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა უდიდესი მოცულობის სამუშაო ჩაატარა. ეს გამარჯვება არის ჯილდო თავდაუზოგავი შრომისთვის".

მსოფლიოს დასასრული მესისა და რონალდოსთვის

1/8 ფინალი

საფრანგეთი 4:3 არგენტინა

30.06. ყაზანი. კაზან არენა. 42 873 მაყურებელი

გოლები: 1:0 გრიზმანი (13-პენ), 1:1 დი მარია (41), 1:2 მერკადო (48), 2:2 პავარი (57), 3:2 მბაპე (64), 4:2 მბაპე (68), 4:3 აგერო (90+3)

საფრანგეთი (4-3-3): ლორისი - პავარი, ვარანი, უმტიტი, ერნანდესი - პოგბა, კანტე, მატუიდი (75. ტოლისო) - გრიზმანი (83. ფეკირი), ჟირუ, მბაპე (89. ტოვენი)

მწვრთნელი: დიდიე დეშამი

არგენტინა (4-3-3): არმანი - მერკადო, ოტამენდი, როხო (46. ფასიო), ტალიაფიკო - პერესი (66. აგუერო), მასკერანო, ბანეგა - პავონი (75. მესა), მესი, დი მარია

მწვრთნელი: ხორხე სამპაოლი

გაფრთხილება: როხო (11), ტალიაფიკო (19), მასკერანო (43), ბანეგა (50), მატუიდი (72), პავარი (73), ოტამენდი (90+3), ჟირუ (90+3)

არბიტრი: ალირეზაფაგანი (ირანი)

ფინალსაც რომ დაამშვენებდა...

კილიან მბაპეს პირველი გოლი არგენტინელთა კარში

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალშია. „სამფეროვნებმა“ ამას არგენტინის ნაკრების ძლევით მიაღწიეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალსაც კი დაამშვენებდა...

რითი აჯობა დეშამმა სამპაოლის?

რა თქმა უნდა, არ შევუდგებით ამ მატჩში გასული ყველა გოლის აღწერას. მსოფლიოს ჩემპიონატი იმ ეტაპზეა, რომ ვისაც ფეხბურთი ოდნავ მაინც უყვარს, არაფერს ტოვებს, ყველაფერს ისრუტავს და იმახსოვრებს.

საფრანგეთმა მოიგო. გამოდის, რომ **დიდიე დეშამმა** აჯობა **ხორხე სამპაოლის**. ამ თამაშში მწვრთნელის სწორმა ქმედებამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. დეშამის ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი ის იყო, რომ მან მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენა თავისი ფორვარდების, მეტადრე **კილიან მბაპეს** სისწრაფე.

დეშამი სწორად მიხვდა, რომ არგენტინელთა დაცვაში ძალიან ხშირად გამოჩნდებოდა ნაპრალები და **მბაპე-გრიზმანის** წყვილს სისწრაფეზე თამაში დაავალა. არგენტინელებმა მართლაც დატოვეს სივრცეები და მბაპემ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

მატჩის შემდეგ

დიდიე დეშამი (საფრანგეთი): „ეს იყო დიდებული მატჩი. ასეთი თამაშებით ცხოვრობს ფეხბურთი. ლიონელ მესის მეტი თავისუფლება ჰქონდა, ვიდრე ადრე, მაგრამ ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ეს ასე შეიძლებოდა ყოფილიყო. დღევანდელმა დღემ ბევრი რამ ახლებურად დამანახვა ჩემს გუნდში“.

ხორხე სამპაოლი (არგენტინა): „ძალიან იმედგაცრუებული ვარ. დღეს არ ვილაპარაკებ ჩემს მომავალზე. ძალიან საწყენია, რადგან ფეხბურთელებმა დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს. ყველანი ძალიან დამწუხრებულები ვართ. ხშირად ვცდებოდით გადაცემებში და ამან ბევრი რამ გადაწყვიტა. ჩვენ გვყავს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და ყველაფერი უნდა მოგვესინჯა, რათა მისთვის მომენტები შეგვექმნა“.

გმირი

ამ თამაშში ყველაფერი იყო, რაც ფეხბურთს ამშვენებს. იყო მართლაც რომ იდეალური გოლები. რაოდენ დიდი პატივი უნდა იყოს **კილიან მბაპესთვის** ის, რომ სწორედ „პარი სენ ჟერმენის“ 19 წლის თინეიჯერი ვარსკვლავი შეიქნა ამ დაუვიწყარი თამაშის გმირი.

მბაპემ მართლაც რომ დიდებული თამაში ჩაატარა. გაიტანა ორი, ერთიმეორეზე უკეთესი გოლი და მოინაგრა პენალტი, რომელიც **ანტუან გრიზმანმა** უნაკლოდ შეასრულა. 11-მეტრიანს თამაშის ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი უძღოდა წინ: კილიანმა თავის საჯარიმოსთან მოიგდო ბურთი და კოსმოსური სისწრაფით დაიძრა მეტოქის საჯარიმოსკენ, სადაც წააქციეს და პენალტიც სამართლიანად დაინიშნა.

ანტიგმირი

ცუდია, როცა მწვრთნელი საკუთარ თავს რაღაცას უმტკიცებს. არგენტინის ნაკრებმა ისე წააგო, რომ **პაულო დიბალა** და **გონსალო იგუაინი** თამაშში საერთოდ არ ჩართულან. როცა შენ გჭირდება გოლები და არ ტვირთავ ორ გამორჩეულ შემტევს, გინდა თუ არა, ანტიგმირი ხდები.

რა შეეძლო არგენტინას?

რა თქმა უნდა, არგენტინას შეეძლო მერვედფინალური ბარიერის გადალახვა, შედარებით სუსტი მეტოქე რომ ჰყოლოდა. ყველაფერში დამნაშავენი თავად არიან: არ გაეშვათ პირველ ადგილზე ხორვატია და ერგებოდათ დანია, რომელსაც, დიდი ალბათობით, გაივლიდნენ. მაგრამ - „არ გაეშვათ“ - ასე არ არის, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის.

საკითხავია, შეტევის ხაზში არგენტინა უკეთესია, თუ საფრანგეთი. დანარჩენ რგოლებში კი „სამფეროვნები“ მეტოქეზე ნამდვილად უკეთესები არიან. თანაც, **დიდიე დეშამის** კრებული უფრო ერთსულოვანი და გუნდურად მოთამაშეა. მოკლედ, ყაზანში მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო - მოიგო უძლიერესმა. ვთქვათ ისიც, რომ ამ ყველაფრის კვალდაკვალ **ხავიერ მასკერანომ** და **ლუკას ბილიამ** სანაკრებო კარიერა დაასრულეს.

ფაქტები

*** ლიონელ მესიმ 756 წუთი ითამაშა მუნდიალის პლეი ოფებში და გოლი არ გაუტანია.**

*** საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ოთხჯერ დაარტყეს არგენტინელთა კარის ჩარჩოში და ოთხივე გაიტანეს.**

*** ამ შეხვედრაში სულ 8-ჯერ დაარტყეს კარში და 7 გოლი გაიტანეს.**

*** ბენჟამინ პავარმა საფრანგეთის ნაკრებში მე-9 შეხვედრა ჩაატარა და პირველი გოლი შეაგდო.**

*** ანხელ დი მარიამ გოლი 30.16 მეტრიდან გაიტანა. ეს იყო მიმდინარე მუნდიალზე ყველაზე შორი მანძილიდან გატანილი გოლი.**

ალეკო კაკაურიძე

1/8 ფინალი

ურუგვაი 2:1 პორტუგალია

30.06. სოჭი. ფიშტ ოლიმპიისკი. 44 287 მაყურებელი

გოლები: 1:0 კავანი (7), 1:1 პეპე (55), 2:1 კავანი (62)

ურუგვაი (4-3-1-2): მუსლერა - კასერესი, ხიმენესი, გოდინი, ლაქსალტი - ნანდეს (81. სანჩესი), ტორეირა, ვესინო - ბენტანკური (63. როდრიგესი) - სუარესი, კავანი (74. სტუანი)

მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი

პორტუგალია (4-4-2): რუი პატრისიო - რიკარდო პერეირა, პეპე, ჟოზე ფონტე, გერეირო - ბერნარდო სილვა, ადრიენ სილვა (65. კვარეშმა), უილიამ კარვალიო, ჟოაო მარიო (85. ფერნანდეში) - გედეში (74. ანდრე სილვა), რონალდო

მწვრთნელი: ფერნანდო სანტუში

გაფრთხილება: კრიშტიანო რონალდო (90+3)

არბიტრი: სესარ რამოსი (მექსიკა)

ლიდერი, რომელიც არ ჩანდა

ურუგვაის ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში გამოჰგლიჯა პორტუგალიას მეოთხედფინალის საგზური, სადაც საფრანგეთს შეხვდება. ერთხელაც დამტკიცდა, რომ დიდ შეჯიბრებს იშვიათად იგებენ ზეპრაგმატული თამაშით - პორტუგალიას გაუმართლა ევროპის ჩემპიონატზე, მუნდიალზე კი ფერნანდო სანტუშის ზედმეტად „მშრალმა“ ფეხბურთმა კრახი განიცადა...

სად იყო რონალდო?

მთელი შეხვედრის განმავლობაში **კრიშტიანო რონალდომ** ერთადერთხელ დაარტყა მოწინააღმდეგის კარის ჩარჩოში. თუ არ ჩავთვლით ესპანეთთან შეხვედრას, მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავს არაფერი უჩვენებია ამ მუნდიალზე. ძალიან კარგად გვესმის, რომ თანამედროვე ფეხბურთში ერთი კაცი თამაშს ვერ მოიგებს, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში რონალდოს აშკარად მეტი მოეთხოვებოდა.

მატჩის ბოლო წუთებში პორტუგალიას ძალიან სჭირდებოდა ლიდერი და ეს ლიდერი არ ჩანდა. არადა, ეს მძიმე ტვირთი სწორედ კრიშტიანოს უნდა ეზიდა. ეს მისი დღე ნამდვილად არ იყო.

მატჩის შემდეგ

ფერნანდო სანტუში (პორტუგალია): „ბევრი ადამიანი გვქომაგობდა პორტუგალიაში. ვერ წავიწიეთ წინ და ამის გამო ძალიან ვწუხვართ. არ ვიყავით მზად სუარესისა და კავანის ასეთი თამაშისთვის. ეს იყო ძალიან კარგი მატჩი. ჩვენ ბევრი რამ გამოგვივიდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და ამიტომაც მივდივართ შინ“.

ოსკარ ტაბარესი (ურუგვაი): „შემიძლია ვთქვა, რომ ფანტასტიკური მეტოქე დავამარცხეთ. ეს იყო ჩვენი გუნდის დიდი გამოცდა, რომელიც წარმატებით ჩავაბარეთ, ახლა კი საფრანგეთთან სათამაშოდ უნდა მოვემზადოთ“.

მისი ბრწყინვალება ედინსონი

თუ **ედინსონ კავანის** თამაში მისდის, მისი დონის ფორვარდი სანთლითაა საძებარი. ეს კავანის დღე იყო. მან ჯერ **ლუის სუარესის** ფლანგური გადაცემა აქცია გოლად, მერე კი თავად შექმნა გოლი-შედევრი, თუმცა ამაში **როდრიგო ბენტანკურის** დროული პასიც დასჭირდა.

მინდორზე ის იყო პირველი ვარსკვლავი და ლიდერი. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ მან მართლაც კოლოსალური მოცულობის სამუშაო შეასრულა პორტუგალიელთა შეტევებისას. არაერთხელ აარიდა საფრთხე თავის გუნდს, დაეხმარა რა **დიეგო ლაქსალტს** დაცვითი ფუნქციების შესრულებისას.

ხიმენესი და გოდინი

ამ შეხვედრაში პორტუგალიელთა შემტევებს, რომ იტყვიან, ფეხი არ გაუნძრევიათ. ეს უდავოდ ურუგვაელთა ცენტრალური მცველების, **ხოსე მარია ხიმენესისა** და **დიეგო გოდინის** დამსახურება გახლდათ. მადრიდის „ატლეტიკოს“ უკანახაზელებმა მთლიანად გამოთიშეს თამაშიდან **კრიშტიანო რონალდო**. პორტუგალიელთა სხვა ვარსკვლავები კი მხოლოდ პირობითად თუ ატარებენ ამ წოდებას. მაგალითად, არავინ იცის, რას აკეთებდნენ ამ მუნდიალზე **გონსალო გედეში** და **ბერნარდო სილვა**...

ღარიბი პორტუგალია

ფერნანდო სანტუში ცუდი მწვრთნელი რომ არ არის, ფაქტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცუდი მწვრთნელით ევროპის ჩემპიონატს ვერ მოიგებ. და მაინც, მოგებულ ევროპირველობაზეც და მერეც თვალში საცემი გახლდათ პორტუგალიელთა თამაშის ტაქტიკური სიღარიბე.

ედინსონ კავანიმ ბოლო 2 მატჩში 3 გოლი გაიტანა

გავრისკავთ და ვიტყვით: ლუზიტანელთა გარჯაში ცოტა მეტი მრავალფეროვნება რომ ყოფილიყო, ისინი აუცილებლად მოახერხებდნენ ანგარიშის გათანაბრებას. არადა, როცა ეს საქმეს დასჭირდა, სანტუშის გუნდის არსენალში მხოლოდ გრძელი ჩაწოდებები აღმოჩნდა. ეს კი ურუგვაელთა ზემწყობრი დაცვის გასარღვევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

წესით, ურუგვაელებს საფრანგეთთან თამაში ძალიან უნდა გაუჭირდეთ. მით უმეტეს, თუ ტრავმირებულმა **ედინსონ კავანიმ** ვერ შეძლო მინდორზე გასვლა. თუ ასე მოხდა, ეს მართლაც უდიდესი დანაკლისი იქნება **ოსკარ ტაბარესის** გუნდისთვის.

ფაქტები

*** ურუგვაიმ 1930 წლის შემდეგ პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი 4 მატჩი.**

*** ურუგვაიმ მეორე ტაიმში ერთხელ დაარტყა პორტუგალიელთა კარის ჩარჩოში და ისიც - შედეგიანად.**

*** ედინსონ კავანიმ ურუგვაის რიგებში 44-ე და 45-ე გოლები შეაგდო.**

*** კრიშტიანო რონალდომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე 38-ე შეხვედრა ჩაატარა. ასეთი მაჩვენებელი მხოლოდ გერმანიის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველ ბასტიან შვაინშტაიგერს აქვს.**

*** რონალდომ 514 წუთი ითამაშა მუნდიალის პლეი ოფებში და ამ შეხვედრებში არც გოლი გაუტანია და არც საგოლე პასი გაუკეთებია.**

ანტონ კორინთელი

1/4 ფინალი

პარასკევი. 6 ივლისი

ურუგვაი-საფრანგეთი

ნიჟნი ნოვგოროდი. 18:00

1/8 ფინალი | ბრაზილია-მექსიკა

ნეიმარმა თავიდან უნდა ამჭკიცოს...

ორშაბათი. 2 ივლისი
სამარა. კოსმოს არენა
ბრაზილია–მექსიკა 18:00

სავარაუდო შემადგენლობები

ბრაზილია (4-3-3): ალისონი - ფაგნერი, ტიაგო სილვა, მირანდა, მარსელო - პაულინიო, კაზემირო, კოუტინიო - ვილიანი, ჟეზუში, ნეიმარი
მექსიკა (4-2-3-1): ონოა - ალვარესი, სალსედო, აიალა, გალიარდო - ერერა, გუარდადო - ლაიუნი, ველა, ლოსანო - ხ. ერნანდესი
არბიტრი: ჯ. როკი (იტალია)

მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი მექსიკასთან სერიოზული გამოცდის ჩასაბარებლად ემზადება.

ბრაზილიის ნაკრებმა მძიმედ დაიწყო. E ჯგუფის პირველ მატჩში „სელესაომ", რომელიც **ფილიპე კოუტინიომ** დააწინაურა, შვეიცარიას ვერ მოუგო. ამას მოჰყვა დრამატული მატჩი კოსტა რიკასთან, როცა ბრაზილიამ 90 წუთის გასვლის შემდეგ გაიტანა ორი გოლი (ისევ კოუტინიო და **ნეიმარი**) და ბოლოს ბრაზილიის ნაკრებმა 2:0 მოუგო სერბეთს და ჯგუფი პირველი ადგილით დაასრულა.

ბრაზილიის საპირისპიროდ, მექსიკამ ჩინებულად დაიწყო და მერე, თითქოს, საწვავი გაუთავდა. პირველ 230 წუთში მექსიკამ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, ბოლო 40-ში კი - სამი.

მექსიკა და ბრაზილია ერთმანეთს ძალიან ხშირად ეთამაშებიან. ბოლოს ფორტალეზაში წინა მუნდიალზე მათ 0:0 ითამაშეს.

ჯგუფურ ეტაპზე ნეიმარ ჯუნიორს ბევრს აკრიტიკებდნენ, მას მუნდიალის ერთ-ერთი იმედგაცრუებაც უწოდეს, თუმცა ეს მთლად მართალი არ არის. ჯგუფში ყველაზე მეტი დრიბლინგი მან განახორციელა (17), ყველაზე მეტი ჯარიმა მოიპოვა (17), ყველაზე მეტჯერ დაარტყა კარისკენ (16) და ყველაზე მეტი საგოლე შანსი შექმნა (11).


მექსიკელთა თათბირი. ჩიჩარიტო აქტიურობს, ნეიმარზე კი ბევრია დამოკიდებული

მექსიკელთა რიგებში **ხავიერ ერნანდესს (ჩიჩარიტო)** გამოვარჩევთ, რომელმაც კორეელთა კარში გამარჯვების გოლი გაიტანა. ჩიჩარიტო ისე თამაშობს, თითქოს, ეს მისი უკანასკნელი მატჩია მუნდიალზე. ასეც იქნება, თუ მექსიკა გავარდება, რადგან ჩიჩარიტომ უკვე განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატია.

ბრაზილიელებს ტრავმირებული **დუგლას კოშტა** აკლიათ, **მარსელოსა** და **დანილოს** თამაში კი საეჭვოა. მექსიკელი **ექტორ მორენო** დისკვალიფიცირებულია.

კაზემიროს, ნეიმარსა და კოუტინიოს ფრთხილად მართებთ თამაში, მათ ყვითელი ბარათი არ უნდა მიიღონ, თორემ გამარჯვების შემთხვევაში, მეოთხედფინალის გამოტოვება მოუწევთ.

ფაქტები

*** ბრაზილიისა და მექსიკის ბოლო 9 დაპირისპირებიდან 8-ში აუცილებლად გადიოდა გოლი.**
*** ბრაზილიის ნაკრებმა მუნდიალების ბოლო 18 თამაშიდან 15-ში სულ მცირე, 2 გოლი გაიტანა.**
*** ბრაზილიამ მექსიკასთან დაპირისპირების ბოლო სამ შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა.**
*** ბრაზილიის ნაკრების ბოლო 7 მატჩიდან 6-ში 2.5 გოლზე ნაკლები გავიდა.**
*** ბრაზილიის ნაკრების წაუგებელი სერია 20 მატჩი გრძელდება.**
*** მექსიკას უკვე ზედიზედ 5 მატჩია, რაც ფრე არ უთამაშია.**
*** ამ ნაკრებების ბოლო დაპირისპირება 2015 წელს შედგა და ბრაზილიამ კოუტინიოსა და ტარდელის გოლებით მოიგო ამხანაგური დაპირისპირება - 2:0.**

1/8 ფინალი | ბელგია-იაპონია

ბელგია აშკარა ფავორიტია

ორშაბათი. 2 ივლისი
როსტოვი. როსტოვ არენა
ბელგია–იაპონია 22:00

სავარაუდო შემადგენლობები

ბელგია (3-4-2-1): კურტუა - ალდერვეირელდი, ბოიატა, ვერტონგენი - მონიე, დე ბრუინი, ვისტელი, კარასკო - ე. აზარი, მერტენსი - ლუკაკუ
იაპონია (4-2-3-1): კავაშიმა - საკაი, შოჯი, იოშიდა, ნაგატომო - ჰასებე, შიბასაკი - ჰარაგუჩი, კაგავა, ინუი - ოსაკო
არბიტრი: მ. დიედიუ (სენეგალი)

ბევრის შეფასებით, ეს არის ყველაზე არათანაბარი წყვილი მერვედფინალურ ეტაპზე, სადაც „წითელი ეშმაკები" აშკარა ფავორიტები არიან.

G ჯგუფის ბოლო ტურში დელიკატური სიტუაცია შეიქმნა - ბელგია და ინგლისი პირველობისთვის იბრძოდნენ, მაგრამ პირველი ადგილის დაკავება შედარებით სუსტ იაპონიასთან მოხვედრასთან ერთად, ბადის შედარებით რთულ მხარეს ნიშნავდა. ბელგიამ გარისკა და მოიგო **ადნან იანუზაის** გოლით. იაპონიის ნაკრები კი მერვედფინალში წაგებით გავიდა - მესამე ტურში უკვე გავარდნილ პოლონეთთან კი დამარცხდა (0:1), მაგრამ მაინც გავიდა „ფეარ პლეის" პრინციპის წყალობით.

ამ ორი ნაკრების ურთიერთშეხვედრებში იაპონია ლიდერობს - 2 მოგება, 2 ფრე და 1 წაგება.

ბელგიელთა ბანაკში ორი მოთამაშის თამაში საეჭვოა - **რომელუ ლუკაკუსა** და **ედენ აზარის**, თუმცა **რობერტო მარტინესს** იმედი აქვს, რომ „წითელ ეშმაკთა" ლიდერები ამ მატჩისთვის მწყობრში იქნებიან. როგორც ჩანს, **დრის მერტენსი** შეინარჩუნებს ადგილს სასტარტო შემადგენლობაში.

ბელგიელთა ბანაკში ყვითელი ბარათის მიღებას უნდა ერიდონ **ვერტონგენი**, **დე ბრუინი**, **მონიე**, **ტილემანსი** და **დენდონკერი**, მათ უკვე აქვთ მიღებული ყვითელი ბარათები. იაპონიაში ასეთები **ინუი**, **ჰასებე**, **კავაშიმა** და **მაკინო** არიან.

ბელგიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი 100-პროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა

იაპონიის ნაკრებს მერვედფინალური ბარიერი არასოდეს დაუძლევია

ტაკაში ინუი (იაპონია): *„ჩვენი მიზანი პასებით თამაში და მატჩზე კონტროლის მოპოვებაა. ბელგიელებს ძალიან შემტევი ფლანგის ფეხბურთელები ჰყავთ. ვფიქრობ, მათ დაცვაში სივრცეების პოვნას შევძლებთ".*

ადნან იანუზაი (ბელგია): *„კარგი გოლი გავიტანე, მაგრამ ეს უკვე წარსულია, მინდა კიდევ გავიტანო და ეს იაპონიასთან მატჩში შევძლო. მიღწეულით არ დავკმაყოფილდები".*

ფაქტები

*** იაპონიის ნაკრებმა ბოლო 9 მატჩში მხოლოდ 2 მატჩი მოიგო (2 ფრე, 5 წაგება).**
*** იაპონიის ნაკრები პლეი ოფში მე-4-დ გავიდა, მაგრამ ჯერ მერვედფინალური ეტაპი არასოდეს დაუძლევია.**
*** იაპონიის ნაკრებმა ევროპულ გუნდებთან ბოლო 5 მატჩი წააგო, მათ შორის ამხანაგური მატჩი ბელგიასთან (0:1).**
*** რომელუ ლუკაკუს ბელგიის ნაკრებში ბოლო 4 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი.**
*** მუნდიალებზე იაპონიის ნაკრების ბოლო 10 გოლიდან 4 კეისუკე ჰონდას ანგარიშზეა, სამში კი მან საგოლე პასი მიითვალა.**
*** იაპონიამ მუნდიალებზე ევროპულ გუნდებთან ბოლო 6 მატჩიდან 5-ში გოლი ვერ გაიტანა.**
*** ბელგიის ნაკრებმა ბოლო 8 მატჩიდან 6-ში კარი მშრალად შეინახა.**
*** იაპონიამ მუნდიალზე ბოლო 7 მატჩიდან მხოლოდ 1 მოიგო და 4 წააგო.**
*** საპირისპიროდ, ბელგიამ მუნდიალზე ბოლო 8 მატჩიდან 7 მოიგო და მხოლოდ 1 წააგო.**

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

სამშაბათი. 3 ივლისი
შვედეთი-შვეიცარია
სანკტ პეტერბურგი. კრესტოვსკი. 18:00

კოლუმბია-ინგლისი
მოსკოვი. ოტკრიტიე არენა. 22:00

კავანის იმედი აქვს, რონალდომ არაფერი იცის...

URUGVAIS ნაკრების ფორვარდმა **ედინსონ კავანიმ** იმედი გამოთქვა, რომ მერვედფინალში პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ მიღებული ტრავმა სერიოზული არ არის და ფეხბურთელს ხელი არ შეეშლება მეოთხედფინალურ ეტაპზე თამაშში.

შეგახსენებთ, რომ „პარი სენ-ჟერმენის" ფორვარდმა დაზიანება მეორე ტაიმში მიიღო და შეცვლა დასჭირდა.

„რაც შეეხება ტრავმას, ტკივილი ვიგრძენი ბარძაყის ზედა მხარეს. იმედია, სერიოზული არაფერია", - მოჰყავს კავანის სიტყვები Football Italia-ს.

ურუგვაი 6 ივლისს, მეოთხედფინალში საფრანგეთის ნაკრებს ნიჟნი ნოვგოროდში შეხვდება.

წაგებული მერვედფინალის შემდეგ, პორტუგალიის ნაკრების ფორვარდმა **კრისტიანო რონალდომ** საერთაშორისო კარიერის სავარაუდო დასრულების შესახებ ილაპარაკა.

„ახლა, სანაკრებო მომავალზე ლაპარაკის დრო არ არის. დარწმუნებული ვარ, ეს ნაკრები ისევ იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, რადგან აქ შეკრებილი არიან შესანიშნავი ფეხბურთელები, რომლებსაც ერთიანობა და გამარჯვებისკენ სწრაფვა ახასიათებთ", - განაცხადა პორტუგალიელმა.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიის ნაკრებმა 1:2 წააგო მერვედფინალში ურუგვაისთან და ჩემპიონატს გამოეთიშა.

ფიფა და დიეგო გაიყარნენ



FIFA აღარ ითანამშრომლებს **დიეგო მარადონასთან**, - ამტკიცებს Diario Correo. ჯგუფურ ეტაპზე ლეგენდარული არგენტინელი მატჩებს ელჩის რანგში ესწრებოდა.

თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზი გახდა მარადონას საქციელი ნიგერიასთან მატჩის დროს. არგენტინის გამარჯვების გოლის შემდეგ, ის უხამს ჟესტებს უჩვენებდა, აგრეთვე, ნიგერიის ნაკრების ფანებს უყვიროდა.

უფრო ადრე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მარადონა ფიფასგან 10 ათას ფუნტს იღებს ყოველ მატჩზე დასწრების სანაცვლოდ.

ამასობაში, არგენტინისა და ნიგერიის მატჩის შემდეგ, დიეგოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უამრავი ჭორი გავრცელდა.

ორმა ესპანურენოვანმა გულშემატკივარმა კი ზღვარს გადააბიჯა. ერთმა დაწერა, რომ მარადონას გულის შეტევა დაემართა, ადრენალინის ნემსმა ვერ უშველა და უახლოეს დღეებში გამოაცხადებენ 57 წლის დიეგოს სიკვდილის შესახებ.

მეორემ თავი არგენტინელ კორესპონდენტად გაასაღა და WhatsApp-ში ხმოვანი შეტყობინება გაავრცელა: *„მარადონას სიკვდილის შესახებ ხვალ გამოაცხადებენ. ასეთია ოჯახის გადაწყვეტილება"*.

ამის შემდეგ, მარადონა ოჯახის წევრებს დაუკავშირდა და დაადასტურა, რომ ჯანმრთელადაა. გაზეთ Clarin-ის ინფორმაციით, დიეგოს დამ გონება დაკარგა, როცა ძმის სიკვდილის შესახებ „ინფორმაცია" შეიტყო.

ახლა დიეგო მარადონა შურისძიებას აპირებს. *„ჯილდოდ ვაწესებთ 9.5 ათას ევროს იმისთვის, ვინც ზუსტ მონაცემებს მოგვაწვდის ამ ინფორმაციების ავტორებზე"*, - განაცხადა მარადონას ადვოკატმა **მატიას მორლამ**.

კორეას კვერცხები დაუშინეს და... მაღლობა გადაუხადეს

MსOფლიOს ჩემპიონატიდან სამშობლოში დაბრუნებულ კორეის ნაკრებს ინჩეონის აეროპორტში კვერცხები დაუშინეს. ყველაზე მეტად დაზარალდა ლონდონის „ტოტენჰემის" ფორვარდი **ჰიუნ-მინ სონი**.

„კორეის ნაკრების ფეხბურთელებს კვერცხები ესროლეს გერმანიის 2:0 დამარცხების შემდეგ. დაზარალდა „ტოტენჰემის" ფორვარდი ჰიუნ-მინ სონი, რომელიც, პრაქტიკულად, თვალცრემლიანი უყურებდა კვერცხისგან დარჩენილ კვალს იატაკზე. ეს აბსოლუტური სირცხვილია", - დაწერა გამოცემა Tavern of Taeguk Warriors-მა.

ლუდის მწარმოებელმა კომპანიამ Estrella Jalisco-მ კი, რომელიც მექსიკის საფეხბურთო ნაკრების სპონსორია, სამხრეთ კორეას მადლობა გადაუხადა გერმანიის ნაკრების დამარცხებისთვის. საჩუქარი - დაახლოებით 60 ყუთი ლუდი ვაშინგტონში კორეის საელჩოს წარმომადგენლებს გადაეცათ.

„Estrella Jalisco ჩვენს კორეელ მეგობრებს ულოცავს მუნდიალზე შესანიშნავ თამაშსა და დიდ გამარჯვებას. მექსიკის ყველა გულშემატკივრის სახელით, მადლობას გიხდით: თქვენ ჩვენი ოჯახის წევრები გახდით. ისიამოვნეთ ამ საჩუქრით, თქვენ წინაშე ვალში ვართ. თუ გჭირდებათ გუნდი, რომელსაც უნდა უგულშემატკივროთ, იმედი გვაქვს, ეს მექსიკის ნაკრები იქნება", - წერია Estrella Jalisco-ს განცხადებაში.

სამხრეთ კორეამ სენსაციურად დაამარცხა გერმანია (2:0) და შედეგმა გადაარჩინა მექსიკა გავარდნას.

როგორ მუშაობს ვიდეორეფერი?

MსOფლიOს ფეხბურთის ფედერაციამ (ფიფა) პრეს-ბრიფინგი ჩაატარა, რომელიც ჯგუფური ეტაპის 48 მატჩში მსაჯების მუშაობის განხილვას მიეძღვნა.

ფიფას სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ პიერლუიჯი კოლინამ, ფიფას სამსაჯო დეპარტამენტის დირექტორმა მასიმო ბუზაკამ და ვიდეოგამეორების სისტემის (VAR) პროექტის ხელმძღვანელმა რობერტო როზეტიმ გააანალიზეს მინდორზე შექმნილი სხვადასხვა სიტუაცია, აგრეთვე, წარმოადგინეს ჯგუფური ეტაპის ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.

ყვითელი ბარათი: 162 (საშუალოდ მატჩში 3.4)
წითელი ბარათი: 1 პირდაპირი, 2 - მეორე ყვითელი ბარათისთვის
პენალტები: 24 (7 VAR-ის დახმარებით)
თამაშის ფაქტობრივი დრო: საშუალოდ 56 წუთი და 45 წამი
დამატებული დრო: საშუალოდ 6 წუთი და 15 წამი
VAR-ის კონტროლი: შემოწმებულია 335 ინციდენტი (საშუალოდ 6.9 მატჩში)
VAR-ის ნახვა: 17
VAR-ის ნახვის შემდეგ შეცვლილი გადაწყვეტილება: 14
VAR-ის ნახვის შემდეგ დადასტურებული გადაწყვეტილება: 3

ყველაზე ხშირად VAR-ის სისტემას მიმართა პარაგვაელმა არბიტრმა ენრიკე კასერესმა (4-ჯერ).

გამოტანილი გადაწყვეტილებების სიზუსტე: VAR-ის გარეშე გადაწყვეტილებების 95 პროცენტია ზუსტი, VAR-ით მიღებული გადაწყვეტილებების 99.3 პროცენტია ზუსტი.

გერმანია გაიაფდა

GERMANIIS საფეხბურთო ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად ვერ შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ეტაპის გადალახვა. ამის გამო, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა სპორტული ეკიპირების მწარმოებელი კომპანია adidas. მან დიდი რაოდენობით გამოუშვა გერმანიის ნაკრების ოფიციალური მაისურები და გუნდის ჩავარდნის შემდეგ, რეალიზაციის პრობლემები შეექმნა.

ამიტომაც, adidas-მა მომხმარებლებს აქცია შესთავაზა და ახლა, გერმანიის ნაკრების სათამაშო მაისურები 30-პროცენტიანი ფასდაკლებით იყიდება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური 0:2 წააგო სამხრეთ კორეასთან და ქვეჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

მუნდიალს მიღმა
იუვენტუსმა კანსელო იყიდა

„IUVENTUSMA" ახალი სეზონისთვის მეორე ტრანსფერი განახორციელა. ოფიციალურად დადასტურდა, რომ იტალიის ჩემპიონმა „ვალენსიადან" ჟოაო კანსელო შეიძინა. პორტუგალიელ ფეხბურთელთან 2023 წლის ზაფხულამდე გაფორმდა კონტრაქტი.

ტრანსფერის ღირებულებამ 40.4 მილიონი ევრო შეადგინა და „იუვენტუსი" ამ თანხას რამდენიმე ნაწილად გადაიხდის. 2017/18 წლების სეზონში, კანსელო იჯარის წესით მილანის „ინტერში" თამაშობდა.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" 21 ივნისს გამოაცხადა „ლივერპულიდან" გერმანელი ნახევარმცველის ემრე ჯანის შეძენის შესახებ.

პრომესი ცოლის ცემისთვის დააპატიმრეს

MOSკOVის „სპარტაკისა" და ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი ქუინსი პრომესი შვებულების დროს კურორტ იბიცაზე სერიოზულ სკანდალში გაეხვია, - წერს ჰოლანდიური ვებგვერდი Soccernews.nl.

როგორც ირკვევა, 26 წლის ფეხბურთელი ესპანეთის პოლიციამ დააპატიმრა მეუღლის ცემის გამო. დაზარალებულებს შორის უცნობი ადამიანებიც არიან, რომლებიც პრომესის დაშოშმინებას ცდილობდნენ.

ჟურნალისტები იმასაც წერენ, რომ იმ საღამოს პრომესთან ერთად ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი უესლი სნეიდერიც იყო, მაგრამ მას ინციდენტთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

იქნებ, ახალი ფორვარდი დაიბადა...

კოლხეთი	3
დინამო (თბ)	6

29.06. ზესტაფონი. დავით აბაშიძე

1:0 მიხალიოვი (33. იმნაძის პასით), 1:1 თოთაძე (41), 1:2 ო. კიტეიშვილი (59), 1:3 ხარაბაძე (69), 2:3 კვასოვი (75. კაბორეს პასით), 2:3 იმნაძე (80. მახარაძის პასით), 3:4 ერგემლიძე (82. ო. კიტეიშვილის პასით), 3:5 ო. კიტეიშვილი (84. ერგემლიძის პასით), 3:6 ნინუა (89. ერგემლიძის პასით)

კოლხეთი (4-2-3-1): გურგენიძე - ჭეიშვილი (80. ჯიმშელეიშვილი), პონომარიოვი, გოგონაია, კაბორე - დანილოვი, მახარაძე - იმნაძე, კვასოვი, გოგბერაშვილი - მიხალიოვი (77. არზიანი)

სათადარიგოები: პოლტავცევი, კვერნაძე

მწვრთნელი: ვიქტორ დემიდოვი

დინამო (4-2-3-1): ბულისკერია - რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე - ნინუა, დარცმელია (89. პ. კიტეიშვილი) - ივანიშვილი (82. ბაბუნიძე), ო. კიტეიშვილი, კუცია (67. ერგემლიძე) - ზივზივაძე

სათადარიგოები: მამარდაშვილი, ზარია, გაბუნია, ქაფიანიძე

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: პონომარიოვი (17), კვასოვი (34), მიხალიოვი (38), ივანიშვილი (50), გოგბერაშვილი(68), გოგონაია (90+1)

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

მიხეილ ერგემლიძემ (N17) გოლიც გაიტანა და ორი საგოლე პასიც გააკეთა

გავრისკავთ და ვიტყვით, რომ „დავით აბაშიძეზე" საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის ყველაზე თვალსასაჩინო შეხვედრა გაიმართა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის - ზესტაფონის მთავარ არენაზე შეკრებილმა გულშემატკივარმა ერთბაშად 9 გოლი იხილა...

ბედს არ შეურიგდნენ...

მოულოდნელად, ანგარიში პირობითმა მასპინძლებმა გახსნეს. 33-ე, **ლუკა იმნაძის** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ, **ილია მიხალიოვმა** „კოლხეთი" წინ გაიყვანა. მაგრამ **ლაშა თოთაძემ** ფოთელებს დიდხანს სიხარული არ აცალა და ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით, თავის სტილში გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმი „დინამომ" აქტიურად დაიწყო. **ოთარ კიტეიშვილმა** პატარა საფეხბურთო შედეგრი შემოგვთავაზა - მოხდენილად ჩამოიშორა ორი მეტოქე და მძლავრად დასცხო კარისკენ, ბურთი ხარიხას მოხვდა და ხაზის შიგნით დაეცა. თავის დაზღვევის მიზნით, **ბუდუ ზივზივაძემ** დაამატა ბურთს, მაგრამ გოლი უკვე გასული იყო და სამართლიანად ჩაეთვალა კაპიტანს.

ამის შემდეგ „დინამოს" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და მალევე თოთაძის გადაცემით გოლი მეკარესთან თითქმის პირისპირ გასულმა **ლევან ხარაბაძემ** გაიტანა - 1:3.

მაგრამ ფოთელები არ შეურიგდნენ ხვედრს და 5-წუთიან მონაკვეთში წონასწორობა აღადგინეს - ჯერ, **იაროსლავ კვასოვმა** გამოიჩინა თავი **პატერსონ კაბორეს** გასწვრივი ფლანგური პასის შემდეგ, მერე კი იმნაძემაც (ვინც აშკარად საუკეთესო იყო „კოლხეთის" შემადგენლობაში) გაიტანა მარტივ სიტუაციაში, როცა კარის წინ ხელს არავინ უშლიდა. ისე კი, ეპიზოდი თამაშგარე მდგომარეობას წააგავდა...

ერგემლიძის როლი

...ცოტა ხნით ადრე **კახა კაჭარავამ** თამაშში **მიხეილ ერგემლიძე** ჩართო და, თამამად შეიძლება ითქვას, ახალგაზრდა შემტევმა უდიდესი როლი ითამაშა თავისი გუნდის გამარჯვებაში. გოლი და 2 საგოლე პასი დაახლოებით 25 წუთში - ასეთია ერგემლიძის მონაგარი. ჯერ მისი გოლი მოჰყვა ოთარ კიტეიშვილის კუთხურს, მერე კი მატჩის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა თავად გაატანინა „დინამოს" კაპიტანს.

„დინამო" მიღწეულზე არ შეჩერდა და ერგემლიძემ ამჯერად ასისტენტობა **ნიკა ნინუას** გაუწია. ვინ იცის, ჩვენ ძალიან საინტერესო ქართველი ფორვარდის დაბადების მომსწრენიც გავხდით...

კითხვის ნიშნები

ზოგადად, „დინამომ" შეტევაში ძალიან კარგად ითამაშა. სხვა თუ არაფერი, სწორედ ამის დასტურია ფოთელთა კარში გატანილი 6 გოლი. მეორე მხრივ, კითხვის ნიშნები გააჩინა დინამოელ მცველთა გარჯამ. მართალია, ისინი შეტევაში ძალიან კარგად და შედეგიანად ერთვებოდნენ, მაგრამ მათი შეცდომები თვალსაჩინო იყო უშუალოდ მოვალეობის შესრულების დროს.

კაჭარავას შეგირდებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ გუნდს უსათუოდ სჭირდება გაძლიერება ევროთასების წინ. რა თქმა უნდა, ეს კლუბის ხელმძღვანელობასაც ესმის და იმედია, ამ ცაიტნოტურ ვითარებაშიც გადაიდგმება ნაბიჯები გაძლიერებისკენ, რათა „დინამომ" ღირსეულად დაიცვას ქვეყნის სახელი ევროპალიგაში.

რა თქმა უნდა, გულშემატკივრისთვის სასიამოვნოა ერთ შეხვედრაში 9 გოლის ხილვა, მაგრამ უხვგოლიანი შეხვედრა ყოველთვის როდი ნიშნავს განსაკუთრებულ ხარისხს...

ალეკო კაკაურიძე
ზესტაფონიდან

სიონი	1
ტორპედო	2

29.06. თბილისი. მიხეილ მესხი (სათ)

1:0 ბერიაშვილი (46), 1:1 წიქარიძე (85. კუხიანიძის პასით), 1:2 ქიმაძე (90+1. ტულუშის პასით)

სიონი (4-2-3-1): ზარქუა - მინდორაშვილი (90+3. უგულავა), ნოზაძე, გურეშიძე, გურ. გიორბელიძე - ქიქავა, ხმალაძე - გაფრინდაშვილი, მიქაბერიძე (86. კოშკაძე), სიხარულია (55. მანაგაძე) - ბერიაშვილი

სათადარიგოები: მუჯრიშვილი, ხეცურიანი, ჭეიშვილი, ც. სამუშია

მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

ტორპედო (4-4-2): ქვილითაია - თორ. გრიგალაშვილი, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე - დოლიძე, კუხიანიძე, გიგაური (74. მამასახლისი), სარდალიშვილი (57. ტულუში) - ბოხაშვილი (46. წიქარიძე), კუტალია

სათადარიგოები: ხაინდრავა, ხურცილავა, ბაბუნაშვილი, ფურცხვანიძე

მწვრთნელი: კახაბერ ჩხეტიანი

გაფრთხილებები: ბოხაშვილი (35), ბერიაშვილი (40), დოლიძე (90+4)

არბიტრი: ჯ. ხორავა

ასე გაათანაბრა ანგარიში თენგიზ წიქარიძემ

გაიხსენა, რომ ჩემპიონია...

ქუთაისელებმა უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვეს და პირველ სამეულთან ჩამორჩენა შეამცირეს, ხოლო „სიონი" 13 ქულით ისევ ბოლოსწინა ადგილზეა და ძალიან მძიმე ბრძოლა მოუწევს...

ფსიქოლოგიური წნეხი

ქუთაისის „ტორპედო" მატჩს სასურველი შემადგენლობით ვერ შეხვდა - გუნდს მცირე ტრავმის გამო კაპიტანი **როინ კვასხვაძე** დააკლდა, **ვაჟა ტაბატაძე** და **თორნიკე კაპანაძეც** ტრავმირებულები არიან.

ბოლნისის „სიონს" კი დიდი ხანია, ვეღარ ეხმარება **გიორგი დათუნაიშვილი**, რომელიც ჯერ კიდევ პირველ წრეში, თბილისის „დინამოსთან" შეხვედრისას დაშავდა. საბედნიეროდ, გამოცდილმა ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა, ინდივიდუალურად ვარჯიშობს და გუნდს მალე შეუერთდება. არადა, მისნაირი მუშა და სასარგებლო ნახევარმცველი „სიონს" ჰაერივით სჭირდება...

მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ იყო - ქუთაისის „ტორპედოში" მოსალოდნელი საკადრო ცვლილებების ფონზე, რამდენად შეძლებდნენ ჩემპიონები მობილიზებას? მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ფსიქოლოგიურ წნეხს თავი ღირსეულად გაართვეს.

აჩრდილი

პირველი სახიფათო მომენტი ქუთაისელებმა შექმნეს, მერე კი „სიონმა" მწვავედ შეუტია. მე-17 წუთზე **მერაბ გიგაურმა** შორიდან დაარტყა და მიზანს ოდნავ ააცილა.

მერე, **გიორგი ბერიაშვილის** გადაცემის შემდეგ, **ზვიად სიხარულიამ** სცადა ბედი, მაგრამ კარგი მომენტით ვერ ისარგებლა. რამდენიმე წუთში, **გურამ მინდორაშვილის** ძლიერი დარტყმის შემდეგ, ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა და **მაქსიმე ქვილითაიამ** „ტორპედო" ბოლო მომენტში გადაარჩინა.

ის იყო ტაიმი უნდა დასრულებულიყო, რომ „ტორპედო" ისევ გადარჩა - **გიორგი მიქაბერიძის** საჯარიმოს შემდეგ, **ლევან ხმალაძე** ბურთს თავით გზავნიდა კარში, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილა.

შესვენებამდე, „სიონი" ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა, ქუთაისელები კი გასული წლის აჩრდილს ჰგავდნენ.

უშედეგო მცდელობები

მეორე ნახევარი ახალი განახლებული იყო, გოლი რომ გავიდა: **გურამ გიორბელიძემ** საჯარიმოს სიახლოვეს ბერიაშვილი მოძებნა, რომელმაც ძლიერად და ზუსტად დაარტყა -1:0.

ამის შემდეგ ქუთაისელები გააქტიურდნენ და ერთმანეთის მიყოლებით შექმნეს სახიფათო მომენტები. საპასუხო გოლი კინაღამ თამაშის განახლებისთანავე გავიდა - ფლანგური გადაცემა მეკარე **თორნიკე ზარქუამ** ჩაჭრა და **ლევან კუტალიას** გატანის შანსი არ მისცა.

50-ე წუთზე, **მიხეილ სარდალიშვილის** კუთხურის შემდეგ, გატანას უკვე **გიორგი გურული** ცდილობდა და კვლავ უშედეგოდ. 51-ე წუთზე იმავე სარდალიშვილმა საჯარიმოში შეტევა გაუგრძელა **გიორგი ქიმაძეს**, რომელმაც მახვილი კუთხიდან ვერ გაიტანა. 53-ე წუთზე უკვე თავად სარდალიშვილმა დაარტყა და ზარქუამ ბურთი „დაამიწა".

59-ე წუთზე ბოლნისელებმა მეტოქის შეტევა ჩაშალეს და სახიფათო კონტრშეტევა წამოიწყეს - ბერიაშვილმა მარჯვენა ფლანგზე ბურთი **ლუკა მანაგაძეს** გააყოლა, რომელიც საჯარიმოსკენ დაიძრა, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ქვილითაიამ საიმედოდ ითამაშა.

დრამატული დასასრული

სიცხის გამო თამაში 2 წუთით შეჩერდა და ისევ ქუთაისელთა შეტევებით განახლდა. „ტორპედომ" ბოლო წუთებზე უფრო მეტი მონდომებით სცადა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **ბექა ტულუშისა** და **თენგიზ წიქარიძის** შეტევები უშედეგო გამოდგა.

75-ე წუთზე ტულუშმა მეკარესთან პირისპირ დატოვა კუტალია, რომელსაც თამაშგარე დაუფიქსირეს. რეალურად, პასიურ ოფსაიდში ქიმაძე და სარდალიშვილი იყვნენ, მაგრამ თავად კუტალია პასის მომენტში მცველზე უკან იდგა...

მალე ტულუშს სწრაფი შეტევის დაგვირგვინება ან გადაცემა შეეძლო, მაგრამ ცუდად დაარტყა და მომენტი გაანიავა. თუმცა ქუთაისელთა მცდელობამ ბოლოს შედეგი მაინც გამოიღო - **გიორგი კუხიანიძემ** დიდებული პასით მთელი დაცვა „გაჭრა", მეკარესთან პირისპირ გაიყვანა წიქარიძე და წონასწორობა აღდგა - 1:1.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ჩინებული გადაცემა უკვე ტულუშმა გააკეთა, ქიმაძემ კი მახვილი კუთხიდან ბურთი მცველსა და მეკარეს შორის გააძვრინა და „ტორპედო" დაანინაურა - 2:1.

ბოლნისელები შეტევაში წავიდნენ, დაცვა მოაშიშვლეს და წიქარიძის შორეული გადაცემით საჯარიმოში დოლიძე შევარდა, მაგრამ ბურთს გიორბელიძე გადაეფარა და მეტოქეს მესამედ კარის აღების საშუალება არ მისცა.

„ტორპედომ" გაიხსენა, რომ მოქმედი ჩემპიონია, ბევრი მოეთხოვება და როგორც იქნა, ღირსეული თამაში აჩვენა, ოღონდ, მხოლოდ მეორე ტაიმში...

მერაბ მამულაშვილი

მარცვალაძის სამჟულიანი დუბლი

რუსთავი	**2**	
სამტრედია	**1**	

29.06. თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 მარცვალაძე (33. გეგეჭკორის პასით), 1:1 გიი (37-პენ), 2:1 მარცვალაძე (75. პაპავას პასით)

რუსთავი (4-2-3-1): სეფიაშვილი - გეგეჭკორი, ვ. კილასონია, კობახიძე, ფონიავა - პაპავა, ცინცაძე - კვირკვია (74. ბ. ქავთარაძე), ციცქიშვილი (57. სიჭინავა), კვარაცხელია (81. თ. კირკიტაძე) - მარცვალაძე

სათადარიგოები: ქარდავა, სილაგაძე, ზვიადაძე, გუჯაბიძე

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

სამტრედია (4-2-3-1): ი. სტურუა - ჩაჩუა, ფატიჩი, ჯგერენაია, ულიანოვი - კერძევაძე, ახალაძე - ოლხოვი, გიი, ხაბეიშვილი (66. დ. კირკიტაძე) - კუჭუხიძე

სათადარიგოები: ო. სტურუა, გიორ. გიორბელიძე, მანჯგალაძე, ბაჩიაშვილი, ქარქუზაშვილი, მესიაჩენკო

მწვრთნელი: ბადრი კვარაცხელია

გაფრთხილებები: კილასონია (36), ჯგერენაია (59), გეგეჭკორი (72), ახალაძე (73)

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

ოთარ მარცვალაძემ დუბლი შეასრულა

„რუსთავმა“ ამ გამარჯვებით „ლოკომოტივს“ გადაუსწრო, ხოლო „სამტრედია“ ისევ ბოლო ადგილზეა და მეოთხე თვეა, ეროვნულ ლიგაში არ მოუგია. არადა, ევროთასები კარს მოგვადგა, სადაც „სამტრედიამ“ საქართველოს სახელი უნდა დაიცვას...

შვილი მამის წინააღმდეგ

მეტოქეები შეხვედრას საგრძნობი საკადრო ცვლილებებით შეხვდნენ. რუსთაველებს დაუბრუნდათ იჟარით გაშვებული სამი მოთამაშე - **დათა სიჭინავა, ვარლამ კილასონია** და **ავთანდილ გუჯაბიძე**, რომელთაგანაც ძირითადში მხოლოდ კილასონია მოხვდა.

ნომინალურ მასპინძელთა შორის პირველად ითამაშა 17 წლის თავდამსხმელმა **ხვიჩა კვარაცხელიამ**, რომელიც თბილისის „დინამოდან“ გადავიდა. მისი დებიუტი მამის, **ბადრი კვარაცხელიას** გუნდის წინააღმდეგ თამაშს დაემთხვა. თუმცა, „რუსთავს“ დანაკლისიც ჰქონდა - დისკვალიფიკაციის გამო თამაში გამოტოვა **ნუკრი რევიშვილმა**.

სამი ახალწვეული

„სამტრედიაში“ სამმა ახალწვეულმა ითამაშა. ცნობილია, რომ გუნდმა ევროპალიგამდე მცველი **გიორგი ჯგერენაია** და ფორვარდი **ლაშა კუჭუხიძე** დაიმატა. თამაშის წინ კი ერთი ახალწვეულიც ვიხილეთ - 24 წლის მარცხენა მცველი **დმიტრო ულიანოვი**, რომელიც უკრაინიდანაა. ის ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ აღზრდილია, უთამაშია „გორნიაკ-სპორტში“, ბოლოს კი კრემატოვსკის „ავანგარდში“ გამოდიოდა. უკრაინაში მის მთავარ პლუსად ბრძოლისუნარიანობას მიიჩნევდნენ. ულიანოვმა „სამტრედიაში“ 33-ნომრიანი მაისურა მიიღო...

ოთხწუთიანი გაელვება

თავიდან მატჩი დაბალ ტემპში მიმდინარეობდა და მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. მეტ-ნაკლებად სახიფათო ვითარება 31-ე წუთზე **მათე კვირკვიას** დარტყმის შემდეგ შეიქმნა, როცა ბურთი **ილია სტურუას** იოლი ნადავლი გახდა.

ტაიმის მიწურულს გუნდებმა ოთხწუთიანი გაელვება მოაწყვეს. 33-ე წუთზე „სამტრედიას“ მეკარეც ვერაფერს გახდა - **ლევან გეგეჭკორმა** მშვენიერი გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **ოთარ მარცვალაძე**, რომელმაც მცველს დაასწრო და სტურუას შორეულ კუთხეში გაუტანა - 1:0. აქ გაუგებარი ის იყო, საჯარიმოში თავდამსხმელს ბურთის ასე იოლად მიღების საშუალება როგორ მისცეს?!

სამტრედიელებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს: **ინტერს გიის** მოწოდებული კუთხურის შემდეგ **ივან ფატიჩის** მიერ დარტყმული ბურთი **ვარლამ კილასონიას** ხელზე მოხვდა და არბიტრმა პენალტი დანიშნა. გიიმ სასჯელი უნაკლოდ აღასრულა - 1:1.

42-ე წუთზე თავისი გუნდის დანინაურება და მამის დამწუხრება **ხვიჩა კვარაცხელიას** შეეძლო, რომელმაც ბურთიანად ცენტრისკენ გადაინაცვლა და ძლიერად დასცხო, მაგრამ მიზანს სანტიმეტრებში ააცილა.

დუბლი

მატჩის მიწურულს **ოთარ მარცვალაძემ** დუბლი შეასრულა. საჯარიმოსთან ბურთი **გიორგი პაპავამ** დაუგდო და ისე, რომ ხელს არავინ უშლიდა, საჯარიმოში შეიჭრა. ბოლოს იყო ძლიერი დარტყმა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან და - 2:1.

აქ კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას მნიშვნელოვან ფაქტორზე - გამოცდილმა თავდამსხმელმა გოლი თითქმის უბრძოლველად გაიტანა. XXI საუკუნეში, როცა მცველები შემტევებს ფეხებს „აჭამენ“, ასე იოლად საჯარიმოში შესეირნება, უბრალოდ, გაუგებარია.

...79-ე წუთზე შორეული დარტყმით ანგარიშის გათანაბრება **დავით კირკიტაძემ** სცადა და ოდნავ ააცილა. 86-ე წუთზე, კუთხურიდან მონოდებულ ბურთს კარში **შოთა კერძევაძე** გზავნიდა, მაგრამ **მამუკა კობახიძე** გადაეფარა და რუსთაველები აშკარა გოლისგან იხსნა.

გავიდა სულ ერთი წუთი და დაახლოებით 25 მეტრიდან **დათა სიჭინავამ** სცადა ბედი და ძელი შეაზანზარა, დამატებაზე კი მარცვალაძემ მესამეც გაიტანა, მაგრამ... თამაშგარე დაუფიქსირეს.

89-ე წუთზე მარცვალაძემ ქუსლით ეფექტური გადაცემა გააკეთა და მეკარესთან პირისპირ დატოვა **ბექა ქავთარაძე**, რომელსაც მცველი ჩაუწვა და სამტრედიელებმა კიდევ ერთხელ აირიდეს გოლი.

და მაინც, სტუმრებს ბოლო წამზე თამაშის გადარჩენის შანსი ჰქონდათ, მაგრამ შედეგი ვერც კირკიტაძის დარტყმამ გამოიღო.

მერაბ მამულაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბურთალო	17	13	1	3	32-13	40
2. დინამო (თბ)	17	11	2	4	33-17	35
3. დილა	17	9	7	1	36-19	34
4. ჩიხურა	17	8	4	5	24-16	28
5. ტორპედო	17	7	3	7	23-18	24
6. რუსთავი	17	5	5	7	17-22	20
7. ლოკომოტივი	17	5	3	9	19-29	18
8. კოლხეთი	17	3	5	9	19-40	14
9. სიონი	17	3	4	10	15-29	13
10. სამტრედია	17	1	6	10	10-25	9

ბომბარდირები

გიორგი გაგელავა (ჩიხურა)	10
მიკოლა კოვტალიუკი (დილა)	10
ლეანდრო რიბეირო (დილა)	9
ოთარ კიტაიშვილი (დინამო)	9

მომდევნო ტური

ოთხშაბათი. 4 ივლისი

სამტრედია-საბურთალო	18:00
ტორპედო-კოლხეთი	19:30

ხუთშაბათი. 5 ივლისი

ლოკომოტივი-რუსთავი	17:30
ჩიხურა-სიონი	18:00
დინამო (თბ)-დილა	21:00

ეროვნული ლიგა 2. XVII ტური

ნორჩი დინამო-თელავი 1:1
გოლები: 1:0 გ. კაშია (21), 1:1 გ. ნიქაბაძე (29)

ცხინვალი-მერანი 1:0
გოლი: 1:0 ნ. წივწივაძე (24)

შევარდენი-შუქურა 1:2
გოლები: 0:1 გ. ჩელებაძე (52), 1:1 ო. პატარკაციშვილი (61), 1:2 გ. ჭანუყვაძე (80)

სამგურალი-ვიტ ჯორჯია 2:1
გოლები: 1:0 ი. კილაძე (38), 1:1 ბ. კაკუშაძე (39), 2:1 მ. ღონღაძე (90+4)

დინამო (თბ)-გაგრა 3:0
გოლები: 1:0 გ. რამოსი (8), 2:0 ჯ. ფლამარიონი (24), 3:0 საბანაძე (77)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	17	9	4	4	21-11	31
2. ვიტ ჯორჯია	17	8	6	3	20-13	30
3. ნორჩი დინამო	17	8	3	6	28-19	27
4. თელავი	17	7	5	5	21-17	26
5. გაგრა	17	7	5	5	23-22	26
6. ცხინვალი	17	7	2	8	17-21	23
7. შევარდენი	17	5	6	6	19-25	21
8. მერანი	17	4	6	7	16-17	18
9. სამგურალი	17	5	3	9	19-27	18
10. შუქურა	17	3	4	10	20-32	13

მომდევნო ტური

პარასკევი. 6 ივლისი

ვიტ ჯორჯია-ნორჩი დინამო	18:00
გაგრა-შევარდენი	18:00
თელავი-ცხინვალი	18:00
მერანი-დინამო (თბ)	18:00

შაბათი. 7 ივლისი

შუქურა-სამგურალი	20:00

ტრანსფერი

ებრალიძე ავეშში ითამაშებს

ავთო ებრალიძე კარიერას პორტუგალიის სუპერლიგის ბინადარ „ავეშში“ გაგრძელებს. კლუბსა და ფეხბურთელს შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ებრალიძის კარიერაში, რადგან გასულ სეზონში გუნდმა სუპერლიგაში მე-6 ადგილი დაიკავა.

ებრალიძის ბოლო კლუბი „ვიზეუ“ გახლდათ, რომელიც გასულ სეზონში სეგუნდა ლიგაში თამაშობდა და უმაღლესი ლიგის საგზური ვერ მოიპოვა.

ალეკო კაკაურიძე

ევროტურნირების წინ

სამტრედია უმწვრთნელოდ დარჩა

ბადრი კვარაცხელია

„სამტრედიას“ 8 დღეში ევროპალიგაზე თამაში ელის, მაგრამ გუნდი ამ ტურნირს მნიშვნელოვანი საკადრო პრობლემებით ხვდება - ჯერ ერთი, რომ შემადგენლობა დასაკომპლექტებელია, და მეორე - გასული სეზონის მესამეადგილოსანი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა.

ეროვნული საფეხბურთო ლიგის მე-17 ტურში, „სამტრედია“ „რუსთავთან“ 1:2 დამარცხდა და მატჩის შემდეგ **ბადრი კვარაცხელიამ** პოსტი დატოვა.

გადაწყვეტილება ვითარებიდან გამომდინარეობდა: 52 წლის სპეციალისტმა „სამტრედიას“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **უჩა სოსიაშვილი** მე-5 ტურში შეცვალა და გუნდი მოედანზე 12-ჯერ გაიყვანა - მისი ხელმძღვანელობით, იმერულმა კლუბმა ეროვნულ ლიგაში 6 შეხვედრა ფრედ დაასრულა, 6 წაგო და ერთიც ვერ მოიგო. ერთადერთი გამარჯვება (3:2) იყო საქართველოს თასზე, ტყიბულის „მეშახტესთან“.

კვარაცხელიას შემცვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ფაქტია, ახალი მწვრთნელი უახლოეს დღეებში უნდა დაინიშნოს. ოღონდ, საკითხავია, რა სარგებლობას მოუტანს კლუბს ბოლოდროინდელი ცვლილებები, მოთამაშეთა წასვლა და მათ ნაცვლად ახალწვეულების მიყვანა. ამას დრო და ევროპალიგა გვიჩვენებს.

შეგახსენებთ, რომ „სამტრედია“ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას ყაზახურ „ტობოლთან“ 10 ივლისს გამართავს. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 20 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

ტორპედო

ჰლუს ორი ლეგიონერი

დევდარიანმა ტორპედოს აკადემია ჩაიბარა

ქუთაისის „ტორპედოში“ ბოლოხანს ხმაურიანი და საინტერესო ამბებია. კლუბში მოსვლის შემდეგ, **ზაზა ჩაჩავამ** ერთ-ერთ პრიორიტეტად ძლიერი საფეხბურთო აკადემიის ჩამოყალიბება დაასახელა. საამისოდ სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა - როგორც ვწერდით, „ტორპედოს“ აკადემიის დირექტორად დაინიშნა **გიორგი დევდარიანი**, რომელსაც ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მთავარ მწვრთნელად მუშაობდა საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში, ასევე „თბილისში“, „საბურთალოს“ აკადემიაში, თბილისის „დინამოში“, „ლოკომოტივსა“ და გორის „დილაში“.

„მინდოდა, ისევ ბავშვთა ფეხბურთში მემუშავა და მეკეთებინა ის, რაც კარგად გამომდის. ძალიან გამიხარდა, „ტორპედოდან“ რომ დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს აკადემიის აწყობის იდეა, რომელსაც, თამამად ვიტყვი, პრეტენზია ექნება, რეგიონში იყოს ლიდერი თავისი მეთოდიკით, აღჭურვილობით, დაგეგმილი მუშაობით. ხელმძღვანელობას ველაპარაკე და ჩემი ხედვები გავაცანი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვიყო იქ, სადაც ყველას ეცოდინება, რისთვის ვარ. პასუხისმგებლობას ვიღებ - თუკი ბავშვებისთვის ძალიან კარგ პირობებს შევქმნით, რამდენიმე წელიწადში ქუთაისში ბევრი კარგი ფეხბურთელი გაიზრდება“, - ამბობს დევდარიანი.

ლაზარ მარინი

ოლექსანდრ აზაცკი

ვინ არიან აზაცკი და მარინი?

საფეხბურთო აკადემიაზე ზრუნვის პარალელურად, სიახლეებია მთავარ გუნდშიც: **მარეკ ჰლინკას** შემდეგ, ქუთაისის „ტორპედომ“ კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა - ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდს **ოლექსანდრ აზაცკი** და **ლაზარ მარინი** დაემატებიან.

24 წლის აზაცკი „ტორპედოში“ ოსტრავის „ბანიკიდან“ მივიდა. ქუთაისელებმა უკრაინელი მცველი 6-თვიანი იჯარით დაიმატეს და ტრანსფერის გამოსყიდვის უფლებაც მიიღეს. აზაცკი უკრაინულ „მეტალისტში“, კიევის „დინამოსა“ და „ჩერნომორეცში“ თამაშობდა, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის, **დავით ხოჭოლავას** მეწყვილე იყო უკანა ხაზში. მას ქუთაისში ხვალ ელოდებიან.

„ტორპედოს“ კიდევ ერთი ახალწვეული **ლაზარ მარინია**. 24 წლის ბულგარელმა მცველმა ქუთაისელებთან კონტრაქტი 2019 წლის აპრილის ბოლომდე გააფორმა. მარინს აქამდე მხოლოდ ბულგარეთის უმაღლესი ლიგის გუნდებში აქვს ნათამაშები - პლოვდივის „ბოტევში“, „რაკოვსკისა“ და სოფიას ცსკა-ში. 2017 წელს მარინმა ბულგარეთის თასი მოიგო, 2018 წელს კი ქვეყნის სუპერთასის მფლობელი გახდა. ბოლოს „ბოტევში“ გამოდიოდა, სადაც 27 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

ახალი სახე

გუნდთან ერთად მეც წინ მივიწევ

იცნოგდეთ გიორგი ჯინჯოლავა

„საბურთალოს“ ძირითად გუნდში 17 წლის გიორგი ჯინჯოლავა გამოჩნდა - საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრების მცველი, რომელსაც კარგი პერსპექტივა ეტყობა. მან ეროვნული ლიგის ლიდერის ფორმა ამას წინათ, საქართველოს თასზე „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში მოირგო.

„გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა მატჩამდე ორი დღით ადრე მითხრა, რომ სათასო მატჩში ძირითადში თამაშის შესაძლებლობა მომეცემოდა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან ერთად შეკრებაზე ვიყავი, ძირითადში თამაში მოულოდნელი იყო. პირველსა და მეორე გუნდებს შორის განსხვავება დიდია: ძირითადში ბევრად გამოცდილი ფეხბურთელები არიან და სულ სხვა მიზნები და გეგმები აქვთ. მათგან ყოველდღიურად ძალიან ბევრს ვსწავლობ, რაც მომავალში აუცილებლად წამადგება. მეამაყება, რომ ამ კლუბის წევრი ვარ. „საბურთალოში“ ავიდგი ფეხი და გუნდთან ერთად მეც წინ მივიწევ. აქ ყველა ერთ მუშტად არის შეკრული, საბრძოლო და სასიამოვნო გარემოა“, - ამბობს ჭაბუკი ფეხბურთელი.

მისივე თქმით, ასაკობრივ ნაკრებებში მიწვევა დამატებითი მოტივაციაა: *„ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურა მოირგოს. მიხარია, რომ სხვადასხვა დროს მომიწია 16 და 17-წლამდელთა ნაკრებებში გამოსვლამ. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ასაკის ვარ, 20-წლამდელთა შემადგენლობაშიც მითამაშია და ამით საერთაშორისო გამოცდილებას ვიძენ, რაც თავდაჯერებლობას მმატებს“.*



ბავშვთა ფეხბურთი

გაგრძელება აუცილებლად იქნება

ინტერში ორი ქართველი ბავშვი გაემგზავრება

მილანის „ინტერის“ საზაფხულო კემპი დაიხურა. თბილისის ზღვაზე მდებარე „ზესტაფონის“ ბაზაზე იტალიური გრანდის სკოლა 25 ივნისს გაიხსნა და 1 ივლისს დასრულდა. კემპზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შერჩეული 100 ბავშვი ვარჯიშობდა.

დახურვის ცერემონიაზე დაასახელეს ის ორი ბავშვი, რომლებიც მწვრთნელებმა ერთკვირიანი ვარჯიშების დროს შეარჩიეს და „ინტერში“ სტაჟირებაზე მიიწვიეს - „გაგრას“ 10 წლის ფეხბურთელი **ლუკა ლომთათიძე** და „საბურთალოს“ 12 წლის წევრი **ბუბუ ღოღობერიძე**. საინტერესოა, რომ ღოღობერიძის მამა წლების წინ მიუნხენის „ბაიერნის“ 17-წლამდელთა გუნდის წევრი იყო, მაგრამ კარიერა ტრავმის გამო დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ იტალიურ გრანდთან საქართველოს პარტნიორობის იდეა ორგანიზაცია „თავისუფალ ფეხბურთს“ ეკუთვნოდა, რომელმაც საზაფხულო სკოლის მოწყობა საკუთარ თავზე აიღო და პირველივე პროექტი წარმატებით განახორციელა.

„აქ ბევრი ნიჭიერი ბავშვი ვარჯიშობდა. მიხარია და მეამაყება, ორ საუკეთესოს შორის მე რომ დამასახელეს. „ინტერში“ სტაჟირებაზე წასვლა და ვარჯიში დიდი სტიმულია“, - ამბობს ბუბუ ღოღობერიძე.

„მსგავსი კემპები საქართველოში ხშირად უნდა გაიმართოს, რადგან ეს ჩვენს ბავშვებს ძალიან წაადგებათ. პირადად მე რაც ვნახე, მართლა ძალიან ნიჭიერი ბავშვები გვყავს. მათ სწორ გზაზე დაყენება და განვითარება სჭირდებათ. ეს იტალიელებმაც აღნიშნეს. მთავარია, ეს ერთჯერადი პროექტი არ იყოს და მომავალშიც გაგრძელდეს“, - ეს კი ვეტერანი ფეხბურთელის, **ზურაბ ხიზანიშვილის** სიტყვებია, რომელიც იტალიელ სპეციალისტებს ვარჯიშების ჩატარებაში ეხმარებოდა.

ლევან სეთურიძე, „თავისუფალი ფეხბურთის“ დამფუძნებელი: *„ჩვენ „ინტერის“ საზაფხულო კემპები კარგად შევისწავლეთ და გვსურდა, საქართველოში საუკეთესო საზაფხულო სკოლა მოგვეწყო. ეს შევძელით, რაც „ინტერის“ მწვრთნელებმაც აღნიშნეს. ისინი გაოცებულები დარჩნენ იმით, თუ რამდენი ტალანტია საქართველოში. რაც მთავარია, ჩვენ ამ წარმატებულ პროექტზე არ გავჩერდებით, ამას აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება“.*

პეტრე სარდანაძე, „თავისუფალი ფეხბურთის“ მენეჯერი: *„საწყენია, რომ იტალიაში მხოლოდ ორი ბავშვი გაემგზავრება, რადგან „ინტერის“ მწვრთნელებმა უფრო მეტი საინტერესო მოთამაშე ჩაინიშნეს. მაგრამ ეს დასაწყისია და ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩვენი წამოწყების შედეგად რომელიმე ბავშვი ევროპაში მოხვდება“.*

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

მსოფლიოს თასი 2019. საქართველო-ავსტრია, დღეს 19:00

დღეს ავსტრიასთან გადამწყვეტია... გავავსოთ სპორტის სასახლე!

სპორტის სასახლე სავსე იყო

საქართველოს ნაკრები დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბოლო მატჩს გამართავს. თბილისს ავსტრია სტუმრობს, გუნდი, რომელსაც ქართველებმა თებერვალში სტუმრად 78:64 აჯობეს.

სწორედ ამ შეხვედრაში გაირკვევა მესამე გუნდის ვინაობა, რომელიც ჩვენი ჯგუფიდან გერმანიისა და სერბეთის შემდეგ მომდევნო ეტაპის საგზურს მიიღებს. წესითა და რიგით ეს საქართველო უნდა იყოს. **ილიას ზუროსის** შეგირდებს 14-ქულიანი ფორა აქვთ, ისინი მეორე ეტაპზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გავლენ, თუ 15 და მეტი ქულით დამარცხდებიან.

...მაგრამ სერბეთთან წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებს საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია სჭირდება და ისიც ყველას მოეხსენება, რომ საქართველოს ავსტრიის ძლევა რეალურად ძალუძს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყველაზე მეტი მატჩი ავსტრიის წინააღმდეგ აქვს გამართული - 12. აქედან ჩვენმა გუნდმა 7 მოიგო და 5-ში დამარცხდა.

მერვე მატჩის მოსაგებად საქართველოს ნაკრებს მხურვალე გულშემატკივრობა სჭირდება. გავავსოთ სპორტის სასახლე!

მსოფლიოს თასი 2019. I საკვალიფიკაციო

-37-ის სამი მიზეზი

სანდრო მამუკელაშვილი სერბეთთან მატჩში

გიორგი ყაბერაშვილის ფოტოები

29 ივლისი, თბილისი

საქართველო-სერბეთი	**50:87**

11:18, 7:19, 18:23, 14:27

საქართველო: ცინცაძე (4ქ, 2პ), მაკფადენი (18ქ), ბოქოლიშვილი, შენგელია (13ქ, 8მ), შერმადინი (4ქ, 4მ); სანაძე (2ქ), მამუკელაშვილი, ბითაძე (2ქ), ბერიშვილი (3ქ), ანდრონიკაშვილი (4ქ).

სერბეთი: იელოვაცი (6ქ), მილოსავლიევიჩი (15ქ, 6მ, 4პ), მილუტინოვი (8ქ), ტოდოროვიჩი (24ქ, 5მ, 6პ), მიჩიჩი (11ქ, 7მ, 5პ); სიმონოვიჩი (6ქ), ჯოკოვიჩი (2ქ), დობრიჩი (2ქ), პენო, მარიანოვიჩი (13ქ, 6მ).

გერმანია-ავსტრია	**85:63**

	თ	მ	წ	სხ	ქ
1. გერმანია	5	5	0	420-333	10
2. სერბეთი	5	4	1	433-361	9
3. საქართველო	5	1	4	362-422	6
4. ავსტრია	5	0	5	321-420	5

ყველაზე დიდი ნაკრები, რომელიც საქართველოში ოფიციალური მატჩის გასამართავად სერბეთამდე გვსტუმრებია, იტალია იყო. ზუსტად 19 წლის წინათ „სკუადრა აძურამ" თბილისში 41 ქულის სხვაობით გაიმარჯვა (105:64). 2018 წლის 29 ივნისს სერბეთი ჩამოვიდა და შინ 37-ქულიანი სხვაობა წაიღო - 87:50.

ბოლო დროს მივეჩვიეთ ევროპის გრანდებთან თანაბრად თამაშს. 2017 წლის ევრობასკეტზე ლიტვას მოვუგეთ, გასული წლის ნოემბერში ბელგრადში მეტოქეს 30 წუთის განმავლობაში კარგად დავუდექით...

წაგების მიზეზი №1

ამის შემდეგ სერბეთთან თბილისში 50:87 წაგება ძალიან „ყვირის". მით უმეტეს, რომ ივნისივლისის ფანჯრისთვის დაგვემატნენ ტრავმამოშუშებულები **გიორგი ცინცაძე** და **დუდა სანაძე**; დაგვიბრუნდნენ ევროლიგელები **თორნიკე შენგელია** და **გიორგი შერმადინი**; კიდევ უფრო მოუმატა ახალგაზრდა ცენტრმა **გოგა ბითაძემ**; გამოჩნდა ახალი ამერიკელი - **თად მაკფადენი**; გუნდს შემოუერთდნენ პერსპექტიული დებიუტანტები **სანდრო მამუკელაშვილი** და **რატი ანდრონიკაშვილი**...

ზედა აბზაცში თითქმის ერთი შინაარსის ზმნები გამოვიყენეთ: „დაგვემატნენ", „დაგვიბრუნდნენ", „გამოჩნდა", „შემოუერთდნენ"... ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდის შემადგენლობა, წინა მატჩების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა. სწორედ ეს იყო სერბეთის ნაკრებთან დიდი სხვაობით მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

მიზეზი №2

როდესაც გუნდში სერიოზული ცვლილებებია, საჭიროა დრო შესათამაშებლად, ტაქტიკის დასახვენად. საქართველოს ნაკრებს კი არც საამისოდ ჰქონდა დრო. დროის უკმარისობა კი დიდი სხვაობით წაგების კიდევ ერთ მიზეზად უნდა დავასახელოთ.

იკითხავთ - სერბებს მეტი დრო ჰქონდათ? სწორედ ამას ჩიოდა მათი მწვრთნელი **ალექსანდრ ჯორჯევიჩი**. მართალია, სერბეთის ნაკრების შემადგენლობაც მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ მასში თამაშობდნენ კალათბურთელები, რომლებიც ერთ სისტემაში გაიზარდნენ, ერთი სტილის კალათბურთს თამაშობდნენ ბავშვობიდან და რაც მთავარია, უმეტესობა ევროლიგის კალათბურთელია, რომლებმაც ზედმიწევნით იციან ყოველგვარი დაცვითი ტაქტიკა. მწვრთნელს მხოლოდ შესაბამისი სქემის მოფიქრება სჭირდებოდა, კალათბურთელები ყველაფრის შემსრულებლები იყვნენ.

მიზეზი №3

შეასრულეს კიდეც. თან ისე, რომ ალექსანდრ ჯორჯევიჩს ათქმევინეს - ჩემს ხელში გუნდმა საუკეთესო დაცვა ითამაშაო.

- საქართველოს პერიმეტრიც გადავუკეტეთ, ვიცოდით, როგორ შეგვეჩერებინა სამქულიანების მტყორცნელები. გამოვთიშეთ წინახაზელები, მოედნის ყოველ მონაკვეთზე, თამაშის ყველა ასპექტში ჩვენი ამოცანა იყო საქართველოს ნაკრების კალათბურთელების გაუვნებლება. ეს კარგად შევძელით. ასეთი დაცვა სერბეთის ნაკრებს დიდი ხანია, არ უთამაშია.

როდესაც აგრესიულ დაცვას შედეგი მოაქვს, შეტევაში სწრაფად გადასვლაც მარტივდება. ამიტომაც იყო, სწრაფი იერიშებით სერბეთმა 21 ქულა რომ მოაგროვა, საქართველომ - 0. მეტოქემ 20 პასი შეასრულა, ჩვენ - 6...

სერბეთის კლასიკური, აგრესიული დაცვა 40 წუთის განმავლობაში - აი, წაგების მესამე, თუმცა ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი.

ზემოთ, წაგების მიზეზებზე წერისას იმიტომ დავმარცხდითო... დიახ, ეს აუცილებლად უნდა მიგვენიშნებინა „დიდი სხვაობა", რადგან როგორც 1999 წელს იტალიის ნაკრები იყო ევროპის ვიცეჩემპიონი თბილისში სტუმრობისას, ასევეა სერბეთი, რომელმაც ევრობასკეტი 2017-ის ფინალში სლოვენიასთან წააგო ფინალი. მასთან მარცხი, თუნდაც სახლში სულაც არ არის სირცხვილი.

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმაც სწორედ დიდი სხვაობის გამო მოიხადა ბოდიში...

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ალექსანდრ ჯორჯევიჩი: საქართველო აგრესიული დაცვით გავთიშეთ

სერბეთი-საქართველო რომ დასრულდა (50:87) ბალკანელთა მწვრთნელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა თვალები ცაში აღაპყრო, ხელები მაღლა ასწია, რაღაც ჩაილაპარაკა და...

პრესკონფერენციაზე შვებით ამოისუნთქა. ამ გამარჯვებამ ხომ მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი ხელის გაწვდენაზე მიაახლოვა.

- თბილისურ მატჩს როგორც საქართველოსთვის, ასევე სერბეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქულები მომდევნო ეტაპზეც გადაგვყვება და თბილისში ვერმოგება საქმეს ძალიან გაგვირთულებდა.

- ბევრი პრობლემა გვაქვს, ზოგი კალათბურთელი ტრავმის გამო არ ჩამოვიდა, ზოგს უბრალოდ არ სურდა ნაკრებში თამაში. საკვალიფიკაციო ეტაპის ახალი სისტემის გათვალისწინებით ვერც სათანადოდ მომზადება მოვასწარით, მაგრამ ჩემმა კალათბურთელებმა პირველივე წუთიდან ბოლომდე აგრესიულად იბრძოლეს და უმთავრესად დაცვის ხარჯზე გავიმარჯვეთ.

- სერბეთის ნაკრებში ინდივიდუალურად ყველა მოთამაშე ძლიერია, თუმცა ამ მატჩში ყველა მხოლოდ გუნდზე ფიქრობდა, ერთი ნაბიჯიც არავის გადაუდგამს პირადი ინტერესიდან გამომდინარე...

ალექსანდრ ჯორჯევიჩს საქართველოს ნაკრებზეც ვკითხეთ, თუმცა ისევ საკუთარ გუნდზე ილაპარაკა:

- ბელგრადში საქართველოს ნაკრებმა კარგი მატჩი გამართა, 35 წუთის განმავლობაში თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და ძალიან გვანერვიულა. მაშინ სამქულიანებიდან დიდი ხიფათი შეგვიქმნა. ამიტომ, თბილისური შეხვედრისთვის კარგად გავშიფრეთ ჩვენი მეტოქე.

ილიას ზუროსი: ბოდიშს ვუხდი ქართველ გულშემატკივარს, ხალხს, საქართველოს

საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა. სერბეთთან 50:87 წაგებას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ეს ცალკე განხილვის თემაა, აქ კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ილიას ზუროსს მოვუსმინოთ.

- ბოდიშს ვუხდი ქართველ გულშემატკივარს, ბოდიში ხალხს, ბოდიში საქართველოს... არა იმიტომ, რომ წავაგეთ, კალათბურთში სერბეთის დონის ნაკრებთან შეიძლება ნებისმიერი დამარცხდეს. ბოდიშს ვიხდი ჩვენი თამაშის ხარისხის გამო.

- სათანადოდ ვერ ვიბრძოლეთ, არ ვიყავით აგრესიულები. ამის გამო თუ ვინმე ბრალს ჩემს კალათბურთელებს დასდებს, წინ აღვუდგები. წაგება პირველ რიგში ჩემი ბრალი იყო.

- კალათბურთში არის კარგი და ცუდი მომენტები. ჩვენთვის სერბეთთან მატჩი ძალიან მძიმე მომენტი იყო. ცხადია, წაგებას თავისი მიზეზები აქვს, მაგრამ ასეთ მარცხს გამართლება არ აქვს.

- აუცილებელია აღინიშნოს, რომ მომზადებაში ბევრმა ნიუანსმა შეგვიშალა ხელი. აქამდეც ვამბობდით, რომ ფიბა-ს მიერ შემოღებული ახალი საკალათბურთო კალენდრის პირობებში ყოველი მატჩისთვის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვაქვს.

- საქართველოს ნაკრების შემადგენლობა წინა მატჩებისგან საკმაოდ განსხვავებულია. დაგვემატნენ ტრავმამოშუშებულები გიორგი ცინცაძე და დუდა სანაძე. მათ თამაშში ყველაფერი ჩადეს, მაგრამ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნებისმიერ კალათბურთელს სჭირდება რიტმში ჩაჯდომა.

- თორნიკე შენგელიას ამ სეზონში NBA-ს დონის მატჩები ჰქონდა. თამამად ვიტყვი, რომ ეს სეზონი მისთვის კარიერაში საუკეთესო იყო. მას ძალიან ხანგრძლივი სეზონი ჰქონდა და ნაკრებთან შეერთებამდე დასვენება ვერ მოასწრო.

- გვყავს ორი ახალგაზრდა დებიუტანტი - სანდრო მამუკელაშვილი და რატი ანდრონიკაშვილი. ისინი მატჩში მართლაც თამამად ჩაერთვნენ და კიდევ ერთხელ დავინახეთ დიდი პერსპექტივა. თუმცა კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო. ბოლო წლებში გამოგვაკლდნენ ვიქტორ სანიკიძე, ზაზა ფაჩულია... გუნდს შევსება სჭირდება. გვყავს მართლაც კარგი ახალგაზრდები, რომლებსაც მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ მეტად დავტვირთავთ.

- მანამდე კი, ავსტრიაა. 2 ივლისს თბილისში ავსტრიელებს ვუმასპინძლებთ და სწორედ ეს მატჩი გადაწყვეტს მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. სტუმრად 14 ქულის სხვაობით გვაქვს მოგებული, თუმცა ეს გამარჯვების გარანტია სულაც არ არის. გაცილებით აგრესიულად უნდა ვითამაშოთ.

დებიუტანტი რატი ანდრონიკაშვილი

ნიჩბოსნობა

მარიამ ქერდიკაშვილი ევროპის ვიცე-ჩემპიონია!

იტალიაში ახალგაზრდა და 23-წლამდელ ნიჩბოსანთა ევროპის ჩემპიონატში შესანიშნავად იასპარეზა დუშელმა კანოისტმა **მარიამ ქერდიკაშვილმა**. 23-წლამდელთა 500 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი მან პირველი გაცურვისას დისტანცია 2 წუთსა და 18.577 წამში დაფარა და პირდაპირ A ფინალში გავიდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველ სპორტსმენს რუსმა **ქსენია კურაჩმა** (2.14.654) გაუსწრო. 2.20.2.23-ით მესამე იყო **ევგენი დორანჟე** (საფრანგეთი).

ფინალში ყველას უკრაინელმა **ლუდმილა ლუზანმა** (2.13.619) აჯობა. მეორე ადგილზე იყო რუსი კურაჩი, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე მას ნავი გადაუბრუნდა. ვერცხლის მედალი და ვიცეჩემპიონობა მარიამ ქერდიკაშვილმა დაიმსახურა - იგი გამარჯვებულს 2.850 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი ფრანგმა დორანჟემ (2.17.135) მოიპოვა.

იტალიაში 23-წლამდელ ვაჟთა ტურნირში ძალებს ცდიდა ფოთელი **მურმან მალანია**. მან A ფინალში გამოსვლის უფლება კი მოიპოვა, მაგრამ იქ მე-9 ადგილს (43.186) დასჯერდა.

ვაჟა **დანელია**

მარცხნივ ვერცხლისმედალოსანი მარიამ ქერდიკაშვილი

ძიუდო

ხუთი მედალი, ოქროს გარეშე

სარაევოში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭების ნაკრებმა 5 მედალი მოიპოვა - 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო, რითაც საერთო-გუნდურ ჩათვლაში მე-11 ადგილზე გავიდა, საკუთრივ ბიჭებში კი მეხუთე იყო. ტურნირის ვიცე-ჩემპიონი **ნიკა ხარაზიშვილი** (90) გახდა, მესამეზე კი **ლუკა კაპანაძე** (66), **გიორგი შერაზადიშვილი** (81), **ილია სულამანიძე** (90) და **საბა ინანეიშვილი** (+90) გავიდნენ. გოგონები ამჯერად უმედლოდ დარჩნენ, თუმცა იმათგან ერთმა - **მარიამ ლაფაჩიშვილმა** (48) კი იჭიდავა ბრინჯაოსთვის, მაგრამ საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.


ქართველი ძიუდოისტები სარაევოში

როგორც ვხედავთ, 90 კილოგრამში ორი კაციდან ორივე მედალოსანი გახდა, ჩვენებურთა გზები კი ნახევარფინალში გადაიკვეთა, სადაც თავიანთი ქვეჯგუფების გამარჯვებულების რანგში წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ქართველთა შერკინება ხარაზიშვილმა ვაზარით მოიგო, რითაც წლევანდელ ურთიერთშეხვედრებში ისევ დაწინაურდა - ხარაზიშვილმა მას მოუგო საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატის ფინალსა და ჩეხეთში, სულამანიძემ კი რევანში აუღო ტულაში ფინალში და რუმინეთში ნახევარფინალში. სამაგიეროდ, წლეულს საერთაშორისო შეჯიბრებებში ორივე დამარცხდა რუს **მატვეი კანიკოვსკისთან** - ახლაც მან მოუგო ფინალი ხარაზიშვილს.

სულამანიძესთან პაექრობამდე ხარაზიშვილმა ქვეჯგუფში სამი შეხვედრა მოიგო იპონით - გერმანელ **დარიუს როემინგთან**, მოლდოველ **ალექსანდრუ გრადინარუსთან** და უნგრელ **ჟომბორ ვეგთან**. თავის მხრივ, ქვეჯგუფში კარგად გამოვიდა სულამანიძეც, ოღონდ მან ორი პაექრობა გამართა და ორივეში წმინდად გაიმარჯვა - ებრაელ **სტანისლავ ბანჩუკთან** და პორტუგალიელ **როდრიგო ბოავიდასთან**, ხარაზიშვილთან მარცხის შემდეგ კი დამამშვიდებლის ფინალში ჰოლანდიელ **აქსელ ჰეერენს** ვაზარით აჯობა.

ბოსნიაში ჩვენს ნაკრებს პირველი მედალი - ბრინჯაო კაპანაძემ მოუპოვა. მან მხოლოდ ერთი პაექრობა დათმო ნახევარფინალში ესპანელ **ხავიერ პენა ინსაუსტისთან**, რაშიც იქნებ მსაჯმაც შესცოდა, სხვა შეხვედრებში კი მონოდების სიმაღლეზე იყო. მან ნახევარფინალამდე სამი ორთაბრძოლა მოიგო: კვიპროსელი **პანაიოტის შაკოსი** დააიპონა, უნგრელ **შანდორ ოკსაის** და თურქ **უმალტ დემირელს** კი ქულებით მოუგო. დამამშვიდებლის ფინალში ავსტრიელი **სამუელ გასნერიც** ბეჭებზე დააგდო.

წლევანდელი საკმაოდ წარმატებული სეზონი ევროპული ბრინჯაოთი დაასრულა შერაზადიშვილმაც, ვინც იოლად მოიგო ქვეჯგუფი, სადაც სამი იპონი მიითვალა - გერმანელ **ელიას პრაჩტთან**, ბელარუს **კანსტანტინ ჰაცუხთან** და თურქ **აჰმეტ ჯუჰადართან**. სამწუხაროდ, ნახევარფინალში რუს **დანილ უმაროვთან** ქულებით წააგო, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ავსტრიელი **ანდრეას ვაგნერი** დააიპონა.

დაბოლოს, საბა ინანეიშვილი, ვინც პირველად გახდა ამ რანგის ტურნირის მედალოსანი. ის პირველ წრეში თავისუფალი იყო და ნახევარფინალში გასასვლელად ორი მოგება ეყო, თუმცა კი ორივეში იპონით იმარჯვა - უკრაინელ **კონსტანტინ იაკუკოსთან** და რუს **ნოდარ ონოფრიენკოსთან**. ნახევარფინალში ინანეიშვილი ქართველებისთვის ნაცნობ მეტოქესთან, თურქ **ომერ აიდინთან** დამარცხდა, ბრინჯაო კი გერმანელ **ლოსენი კონესთან** პაექრობაში მოიპოვა, ვისაც ვაზარით მოუგო.

ევროპის ჩემპიონატი სარაევოში დღეს მთავრდება გუნდური ტურნირით. თითქოს ის არ გვეყოფოდა, რომ გაერთიანებულ გუნდში გოგონები არ გვყავს ძლიერები, ჩვენს ნაკრებს დიდად არც წილისყრამ გაუმართლა და ქვეჯგუფში იტალიასთან, ჰოლანდიასა და საფრანგეთთან მოხვდა: სამივე მათგანს ბიჭებიც ხომ ძლიერები ჰყავთ, ქალთა ძიუდოში განსაკუთრებით გამოირჩევიან. ჩვენები პირველ შეხვედრას იტალიასთან გამართავენ.

ირაკლი **თავაძე**

შვიდკაცა რაგბი

საქართველო-გერმანია

მხოლოდ მეათე მარკუსიში

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის გრან პრის სერიის მორიგ ეტაპზე, რომელიც საფრანგეთში, ამ ქვეყნის სანაკრებო ბაზაზე, მარკუსიში გაიმართა, ისევ წარუმატებლად იასპარეზა. ჩვენმა გუნდმა ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და მე-10 ადგილზე გავიდა.

ჯგუფურ ეტაპზე „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" სამი თამაშიდან სამივე წააგეს და ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ. პირველ მატჩში გერმანიის ნაკრებს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა გავუწიეთ და მხოლოდ შვიდი ქულის სხვაობით დავმარცხდით - 10:17. მომდევნო შეხვედრებში ჩვენმა ნაკრებმა უიმედოდ დათმო ჯერ რუსეთთან - 14:38, შემდეგ კი, პორტუგალიასთან - 7:36.

მე-9 ადგილისთვის ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები ესპანეთს დაუპირისპირდა და 21:17 სძლია. ფინალში კი, პოლონეთთან დამარცხდა - 10:19.

ევროპის გრან პრის მორიგი ეტაპი ინგლისში, ექსეტერში ჩატარდება.

საქართველოს ნაკრები

ილია სპანდერაშვილი (არმაზი), ზურაბ ძნელაძე, ლაშა ლომიძე, ოთარ ძაგნიძე, თორნიკე მანაგაძე (ოთხივე - აია), გიორგი ჭუაძე, იოანე ხელაია, სოსო მათიაშვილი (სამივე - აკადემია), გიორგი მჭედლიშვილი, ირაკლი სვანიძე (ორივე - ჯიქი), თენგიზ პერანიძე, აკაკი ტაბუცაძე (ორივე - ლელო), რეზი ხარაზიშვილი (იუნკერები), გიორგი გოგოლაძე (კასტანე), რამაზ ხარაზიშვილი (ლოკომოტივი)

ბესიკ **ჯანგავაძე**

რაგბი. ლეგიონი

მზის მგლების მესამე გამარჯვება

ივნისის ტესტების დასრულების შემდეგ განახლდა ზე რაგბის გათამაშება. მორიგ ტურში **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ნიკოლოზ ხატიაშვილის** იაპონურმა „სანვულვზმა" შინ მიიღო სამხრეთაფრიკული პრეტორიის „ბლუ ბულზი" და 42:37 დაამარცხა.

ჯაბა ბრეგვაძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 76-ე წუთზე შეცვალეს. მან მასპინძელთა მიერ გატანილ მეორე ლელოში ლომის წილი დაიდო და მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურად ირჯებოდა. ხატიაშვილი განაცხადში არ იყო. „სანვულვზმა" მიმდინარე გათამაშებაში მესამე გამარჯვება მიითვალა და A ჯგუფში „რედსს" მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება. მორიგ ტურში იაპონური კლუბი სტუმრად ითამაშებს სიდნეის „ვორათაზთან".

ბესიკ **ჯანგავაძე**

ჯაბა ბრეგვაძე

ჭადრაკი

განახლებული რეიტინგით

წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. **ქართველთათვის მათში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, რადგან, ივნისის მსგავსად, საივლისო კლასიფიკაციის მხოლოდ ქალთა პირველ ასულში გვყავს შვიდი წარმომადგენელი, ვაჟთა საუკეთესო ასეულში კი ჩვენებურთაგან ისევ არავინაა.**

ქალების რეიტინგს უწინდებურად სათავეში უდგას ჩინელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (2658). მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე, მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი **ცზიუ ვენცზიუნი** (2568). პირველ ათეულში შემდეგ მოდიან - **ანა მუზიჩუკი** (უკრაინა, 2564), **კატერინა ლაგნო** (რუსეთი, 2556), **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუსეთი, 2552), **ვალენტინა გუნინა** (რუსეთი, 2527), **თან ჩჟუნი** (ჩინეთი, 2524), **მარია მუზიჩუკი** (უკრაინა, 2521), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2519), **ალექსანდრა გორიაჩკინა** (რუსეთი, 2509)... 12. **ნინო ბაციაშვილი** (2492), 20. **ლელა ჯავახიშვილი** (2475), 25. **ბელა ხოტენაშვილი** (2462), 62. **მერი არაბიძე** (2397), 67. **სალომე მელია** (2392), 77. **სოფიკო გურამიშვილი** (2378).

ვაჟთა პირველი ათეული ასეთია: მსოფლიოს ჩემპიონი **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2842), **ფაბიანო კარუანა** (აშშ, 2822), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2801), **დინ ლიჟენი** (ჩინეთი, 2797), **ვლადიმირ კრამნიკი** (რუსეთი, 2792), **ანიშ გირი** (ჰოლანდია, 2782), **ვესლი სო** (აშშ, 2780), **მაქსიმ ვაშიელაგრავი** (საფრანგეთი, 2779), **ჰიკარუ ნაკამურა** (აშშ, 2777), **სერგეი კარიაკინი** (რუსეთი, 2773).

ვაჟა **დანელია**

ჩოგბურთი

მხოლოდ ერთი ნახევარფინალი

თელავში დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველები მრავლად მონაწილეობდნენ, მაგრამ მათგან ნახევარფინალს მხოლოდ **თამარ გაგოშიძემ** მიაღწია: ზედიზედ ორი მოგების შემდეგ მეოთხედფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა **პოლინა იაცენკო** (რუსეთი) დაამარცხა - 2:6, 6:3, 6:4 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტსა და თბილისის ტურნირის გამარჯვებულ **ანასტასია ზოლოტარიოვას** დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმა წინადღეს პირველი ხელი **ნინო ნაცვლიშვილს** 6:1 მოუგო, მეორე სეტში 1:0 რომ დაწინაურდა, ნაცვლიშვილმა ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

ტურნირის გამარჯვებულები

ნახევარფინალში უპირატესობა აშკარად რუსი ჩოგბურთელის მხარეს იყო და იოლადაც გაიმარჯვა - 6:0, 6:2. გადამწყვეტ პაექრობაში ზოლოტარიოვამ ბელარუს **კრისტინა დმიტრიუკსაც** აჯობა - 6:4, 6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვა. რუსმა სპორტსმენმა თანამემამულე **ანა ჩეკანსკაიასთან** ერთად წყვილებშიც პირველი ადგილი დაიკავა.

როგორც ვწერდით, ვაჟთა ტურნირის მეოთხედფინალში სამი ქართველი იყო, მაგრამ წინ წაწევა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო: **საბა ფურცელაძემ** სომეხ **არტურ სოლოიანს** პირველი ხელი 7:5 მოუგო, მეორეში 3:6 დამარცხდა და შეჯიბრება ტრავმის გამო შეწყვიტა. **ცოტნე ძიმისტარიშვილმა** პაექრობა **ვლადისლავ სვირიდენკოსთან** (რუსეთი) დათმო - 1:6, 4:6. ფინალში სვირიდენკომ მეორე ნომრად განთესილი **მიხაილო კვანტალიანის მძლეველ** (6:4, 6:3) **ნიკიტა ნასყიდაშვილსაც** მოუგო 6:4, 7:6. სამაგიეროდ, წყვილებში ნასყიდაშვილმა და **იგორ ტრუნოვმა** (რუსეთი) გაიმარჯვეს.

...

გუშინ თელავში ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ახალი საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. კვალიფიკაციაში ცხრა ჩვენებური ჩაება და პირველი ნრე მათგან მხოლოდ ორმა გადალახა. გოგონებში **ლია სალუქვაძემ** სტარტზე რუს **ეკატერინა ვაჟენინას** აჯობა - 4:6, 6:2, 7:5 და მე-2 წრეში მის თანამემამულე **ტაისია სლიუსარენკოს** შეხვდება. **ნატალია ტოკლიკიშვილი** და **დიანა ჩაგოშვილი**, შესაბამისად, რუსებთან - **ეკატერინა ბრემელსა** (6:2, 0:6, 1:6) და **ადელინა დოგუზოვასთან** (1:6, 0:6) ვერაფერს გახდნენ.

ვაჟებში **ბექა ვინსტონმა** (საქართველო) საკვალიფიკაციოს პირველ წრეში **ჰასან ჰალაბი** (ლიბანი) დაჯაბნა - 6:1, 6:2 და დღეს **რობერტ კორელოვთან** (რუსეთი) გაარკვევს ურთიერთობას. დანარჩენი ხუთი ჩვენებური დამარცხდა: დავით ასათიანი-ფრანჩესკო პრესტა (იტალია) 4:6, 0:6, რატი ცერცვაძე-მიხაილ ზაპადაევი (რუსეთი) 1:6, 0:2... გიორგი ლუკას ხარატიშვილი-დანიილ კარაპეტიანი (სომხეთი) 2:6, 6:7, სოჰრაბ დოკმეჩინი (საქართველო)-გლებ იბრაგიმოვი (რუსეთი) 6:3, 1:6, 3:6, ნიკოლოზ რამაზაშვილი-რუსლან კუზნეცოვი (რუსეთი) 0:6, 2:6.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

გოტენბურგში ევროპის ღიაზე

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები

შვედური გოტენბურგი ყოველწლიურად მასპინძლობს სხვადასხვა ასაკის ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდების ევროპის ღია პირველობას, რომელიც მსოფლიოში ბავშვთა უდიდესი სახელბურთო ფესტივალის - პარტიელეს თასის ნაწილია.

ქართველები მსგავს ტურნირებში ოთხი წელიწადია, მონაწილეობენ. სამი წლის წინ იქ ჩვენი გოგონების 18-წლამდელთა ნაკრებმა იასპარეზა. მას შემდეგ შეჯიბრების რეგლამენტი შეიცვალა და მონაწილეთა ასაკი შემცირდა - კენტ წლებში 17-წლამდელ ჭაბუკთა, ლუწში კი 16-წლამდელ გოგონათა გუნდები ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. 2017 წლიდან კი გოტენბურგის ტურნირს ოფიციალურად ჰქვია ევროპის ღია ჩემპიონატი, რადგან საკვალიფიკაციო პაექრობები არ ტარდება და შვედეთში ყველა უძლიერესი ნაკრები თამაშობს. ევროპის სხვა პირველობებისგან განსხვავებით, აქ ასპარეზობის ფორმატი უფრო მკაცრია - სულ ხუთი სათამაშო დღეა. ამიტომ თითოეული გუნდი დღეში ორ მატჩს მართავს. შეჯიბრებაში 20 გუნდი მონაწილეობს. მათ შორისაა საქართველოს 16-წლამდელ გოგონათა ნაკრებიც (**დიანა ქარჩავა** (2002, 175, „აჭარა"), **ხატია ჯიქურაშვილი** (2002, 172, „პეგასი"), **ნატო კოპალეიშვილი** (2002, 170, „სამტრედია"), **ანა ჩხაიძე** (2003, 162, „ქარიშხალა"), **თამარ ბურკაძე** (2004, 155, „სამტრედია"), **ელისაბედ ჩხაიძე** (2002, 178, „პეგასი"), **ხატია ქამაშიძე** (2002, 170, „აჭარა"), **ნენო ჯგერენაია** (2002, 170, „ფოთი"), **ქეთევან ცინცაძე** (2002, 171, „ქარიშხალა"), **მარიამ ცინცაძე** (2002, 171, „ქარიშხალა"), **ანა კორძაია** (2003, 172, „პეგასი"), **ლანა გოგია** (2002, 167, „ფოთი"), **ციცინო ბუალავა** (2003, 164, „ფოთი"), **მარიამ დვალიშვილი** (2002, 180, „აჭარა"), **ანა კაპანაძე** (2002, 181, „პეგასი"), მწვრთნელები - **ანდრეი პორტნოი** (უკრაინ), **ბექა ორჯონიკიძე**, **ინა ჭკუასელი**). ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შეჯიბრების მონაწილეები წილისყრით ოთხ ჯგუფში გადაანაწილეს:

A ჯგუფი: ნორვეგია, პოლონეთი, შვედეთი, იტალია, ჩეხეთი

B ჯგუფი: უნგრეთი, ლიტვა, ჰოლანდია, ფარერები, საქართველო

C ჯგუფი: საფრანგეთი, ესპანეთი, ფინეთი, ისლანდია, აზერბაიჯანი

D ჯგუფი: რუსეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვეიცარია, ესტონეთი

დღეს ქართველები ჯგუფის ორ ლიდერს - უნგრეთსა და ჰოლანდიას შეხვდებიან, ხვალ 3 ივლისს კი ფარერებსა და ლიტვას გაუწევენ მეტოქეობას. ჯგუფური ეტაპის შემდეგ 2-2 საუკეთესო 4-5 ივლისს მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობს, დანარჩენები კი მეცხრე-მეოცე ადგილებისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. 6 ივლისს ფინალები გაიმართება.

საქართველოს ეს ნაკრები გოგონათა მესამე თაობაა, რომელიც ევროპულ ასპარეზზე გადის 1998 და 2000 წლებში დაბადებულთა გუნდების შემდეგ. ჩვენები ამ შეჯიბრებისთვის ნაყოფიერად მოემზადნენ: ჯერ თბილისში ივარჯიშეს, 14-28 მაისს ორკვირიანი შეკრება ჰქონდათ თელავში, სადაც სამჯერ აზერბაიჯანელ თანატოლებს შეხვდნენ, ივნისის დასაწყისში კი უკრაინაში ადგილობრივ და ბელარუსულ კლუბებთან 4 ამხანაგური მატჩი გამართეს.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

ოცეულშიც ვერ მოხვდნენ

ჯერმუკში დამთავრდა კარენ ასრიანის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი ქართველი მოჭადრაკეც მონაწილეობდა. ბოლო ტურში ფიდეს ოსტატი **ნოე თუთისანი** ბელარუს დიდოსტატ **კირილ სტუპაკს** დაუზავდა და 5.5 ქულით 21-ე ადგილი დაიკავა. 14 წლის **ნიკოლოზ კაჭარავა** მასპინძელ **არტურ დავთიანთან** დამარცხდა და 4.5 ქულით 36-ე ადგილზე გავიდა. ბოლო ტურში, ასევე, წარუმატებლად ითამაშა **ეკატერინე ფიფიამ**, რომელმაც **ლენა კუმართან** (ინდოეთი) წააგო და 4 ქულით 50-ე ადგილს დაჰყაბულდა. 16 წლის ქართველი მოჭადრაკის რეიტინგი ამ ტურნირამდე იყო 1772 პუნქტი. მონაგარი მან ჯერმუკში 104 პუნქტით გაიმდიდრა. კაჭარავამ 28, თუთისანმა კი 5 პუნქტი დაკარგა.

მემორიალის ბოლო ტურის წინ პირველობის შანსს 6-6 ქულით სამი დიდოსტატი ინარჩუნებდა. მათგან მასპინძელმა **ჰაიკ მარტიროსიანმა** იყოჩაღა, რომელმაც თანამემამულე **ჰრანტ მელქუმიანი** დაამარცხა და 7 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა.

ვაჟა დანელია

იუბილარი
თენგიზ ბოლქვაძე - 80

ქართული სპორტის სახელოვანი ვეტერანი **თენგიზ ბოლქვაძე** იუბილარია - დღეს, 2 ივლისს, დაბადების 80 წელი უსრულდება. სპორტით მისი გატაცება დაიწყო მშობლიურ ბათუმში, როცა ყმაწვილი აკრობატიკის სიყვარულმა მიიყვანა სპორტულ დარბაზში. წარმატებებს აღიარება მოჰყვა - გახდა მრავალ შეჯიბრებათა გამარჯვებული და პრიზიორი, სპორტის ოსტატი. ბელარუსის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავი გამოიჩინა, როგორც აკრობატთა აღმზრდელმა, არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ორგანიზატორის უნარით გამორჩეული ათეული წლები ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. 23 წელიწადი ედგა სათავეში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" აჭარის საოლქო საბჭოს, იყო აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (1987-1991), სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე (1991-1995), სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1996-2004), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გამგეობის წევრი (1992-2004), მოსკოვის საკავშირო სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკი (1978-1989), არის სპორტის სფეროში ათზე მეტი ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით", აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ვულოცავთ ღვაწლმოსილ იუბილარს.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია, აჭარის სპორტული საზოგადოებრიობა

სეოკ-ის მილოცვები
ზურაბ ზვიადაურს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საუკეთესო სურვილებით დაბადების დღეს ულოცავს პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (2004, ათენი), მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორს (2001, 2003), ევროპის ორგზის ჩემპიონს გუნდურ (2002, 2003) და მესამე პრიზიორს პირად შეჯიბრებაში (2002), მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორს გუნდურ ჩათვლაში (2002), მსოფლიოს ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის (2000), მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების მეორე პრიზიორს (1998), ღირსების ორდენის კავალერს, ძიუდოისტ ზურაბ ზვიადაურს.

რევაზ მინდორაშვილს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს (2008), მსოფლიოს ჩემპიონს (2005) და მეორე პრიზიორს (2006), ევროპის ჩემპიონს (2003), ორგზის მეორე (2004, 2008) და მესამე პრიზიორს (2002), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორს (2003), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს, ღირსების ორდენის და მედლის კავალერს რევაზ მინდორაშვილს, უსურვებს მას დღეგრძელობას და წარმატებებს.

ვლადიმერ ჭანტურიას

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საუკეთესო სურვილებით დაბადების დღეს ულოცავს კრიზში სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს (2000), ევროპის თასის გათამაშების მეორე პრიზიორს (1998), ბულგარეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის A კლასის ტურნირებში გამარჯვებულს ვლადიმერ ჭანტურიას.

ფორმულა 1

ავსტრიის გრანპრი

შპილბერგი. 71 წრე. 306,452 კმ.

1. ფერსტაპენი (რედ ბული)	1:21.56,024
2. რაიკონენი (ფერარი)	+1.504
3. ფეტელი (ფერარი)	+3.181
4. გროსჟანი (ჰაასი)	1 წრე
5. მაგნუსენი (ჰაასი)	1 წრე
6. ოკონი (ფორს ინდია)	1 წრე
7. პერესი (ფორს ინდია)	1 წრე
8. ალონსო (მაკლარენი)	1 წრე
9. ლეკლერი (ზაუბერი)	1 წრე
10. ერიქსონი (ზაუბერი)	1 წრე
11. გასლი (ტორო როსო)	1 წრე
12. საინსი (რენო)	1 წრე
13. სტროლი (უილიამსი)	2 წრე
14. სიროტკინი (უილიამსი)	2 წრე
15. ვანდორნი (მაკლარენი)	6 წრე
16. ჰემილტონი (მერსედესი)	უფინიშოდ
17. ჰარტლი (ტორო როსო)	უფინიშოდ
18. რიკარდო (რედ ბული)	უფინიშოდ
19. ბოტასი (მერსედესი)	უფინიშოდ
20. ჰიულკენბერგი (რენო)	უფინიშოდ

საერთო ჩათვლა

1. ფეტელი - 146 (3)
2. ჰემილტონი - 145 (3)
3. რაიკონენი - 101
4. რიკარდო - 96 (2)
5. ფერსტაპენი - 93 (1)
6. ბოტასი - 92
7. მაგნუსენი - 37
8. ალონსო - 36
9. ჰიულკენბერგი - 34
10. საინსი - 28
11. პერესი - 23
12. ოკონი - 19
13. გასლი - 18
14. ლეკლერი - 13
15. გროსჟანი - 12
16. ვანდორნი - 8
17. სტროლი - 4
18. ერიქსონი - 2
18. ჰარტლი - 1

კონსტრუქტორთა თასი

1. ფერარი - 247
2. მერსედესი - 237
3. რედ ბული - 189
4. რენო - 62
5. ჰაასი - 49
6. მაკლარენი - 44
7. ფორს ინდია - 42
8. ტორო როსო - 19
9. ზაუბერი - 16
10. უილიამსი - 4

ველოსპორტი

ფრუმი ტურზე არ დაუშვეს

ფრანგული გაზეთის Le Monde-ის ინფორმაციით, ბრიტანულ საჯინიბო Sky-ის აცნობეს, რომ გუნდის ლიდერი კრის ფრუმი არ დაუშვეს ფრანგულ ველომარათონ „ტურ დე ფრანსზე". მიზეზია ასთმის პრეპარატის ზედმეტი დოზა, რომელიც სპორტსმენს 2017 წლის „ვუელტაზე" დაუფიქსირეს. „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორების სიტყვებით, მათ არ სურთ რბოლის იმიჯის გაფუჭება.

Sky-მ ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის ოლიმპიურ კომიტეტში გაასაჩივრა. ფრუმის საქმის განხილვა 3 ივლისს შედგება და საბოლოო გადაწყვეტილებას 4 ივლისს გამოაცხადებენ.

შარშანდელი „ვუელტას" დროს, ფრუმის ორგანიზმში აღმოაჩინეს სალბუტამოლის დოზა, რომელიც დაშვებულს ორჯერ აღემატებოდა.

ფრუმი „ტურ დე ფრანსის" ოთხგზის ჩემპიონია. ის, აგრეთვე, ესპანური და იტალიური ველომარათონების - „ვუელტასა" და „ჯირო დ'იტალიას" მოქმედი გამარჯვებულია.

ჩოგბურთი

ვოზნიაცკიმ უიმბლდონის რეპეჭიცია მოიგო

ქალმა ჩოგბურთელებმა ინგლისის ქალაქ ისტბურნში დაასრულეს მზადება უიმბლდონისთვის, რომელიც ორშაბათს იღებს სტარტს. კარგი განწყობით ხვდება „დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირს დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი**, რომელმაც ფინალის მოგება მოახერხა.

ისტბურნში გადამწყვეტ მატჩში ვოზნიაცკი ბელარუს **არინა სობოლენკას** ხვდებოდა და დაძაბულ ორსეტიან ბრძოლაში მოიგო - 7:5, 7:6(5). მატჩი საათი და 57 წუთი გრძელდებოდა.

დანიელმა ჩოგბურთელმა 11 ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა და ექვსჯერ აიღო მეტოქის მოწოდება. სობოლენკამ ამას ხუთი ბრეიკით უპასუხა.

ვოზნიაცკიმ კარიერაში 29-ე ტიტული მოიგო, ამასთან, პირველად გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე იანვრის ტრიუმფის შემდეგ.

აღვნიშნავთ, რომ კაროლინ ვოზნიაცკის ბალახზე პირველი ტურნირი სწორედ ისტბურნში აქვს მოგებული ცხრა წლის წინ.

სერენამ WTA-ში იჩივლა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** უარი უთხრა დოპინგ-ოფიცერს დოპინგ-ტესტის ჩაბარებაზე.

ჩოგბურთელთან შემოწმებაზე 14 ივნისს, დილის 8 საათსა და 30 წუთზე მივიდნენ. დოპინგ-ოფიცერს უილიამსი შინ არ დახვდა და ის სახლში სერენას ასისტენტმა შეუშვა. ამის შემდეგ, ოფიცერმა გამოაცხადა, რომ იქამდე არ დატოვებს შენობას, სანამ დოპინგ-სინჯს არ აიღებს.

შინ დაბრუნებულმა უილიამსმა უარი თქვა ტესტის გავლაზე, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) პრეზიდენტს სტივ საიმონს დაურეკა და შესჩივლა მას რეგლამენტის დარღვევაზე, აგრეთვე, აგრესიულ და არაობიექტურ დამოკიდებულებაზე. თავის მხრივ, საიმონმა უილიამსს ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტოს (USADA) პრეზიდენტის ტრევის ტაიგარტის ტელეფონის ნომერი მისცა, რადგან ეს ორგანიზაციაა დაკავებული ანტისადოპინგო პროგრამით.

USADA სერენა უილიამსთან თავის მუშაობას აგრესიულად არ აფასებს და აცხადებს, რომ ნებისმიერი მოთამაშის შემოწმების უფლება აქვს დღე-ღამის ნებისმიერ დროს, - იტყობინება Deadspin.

სერენა უილიამსის უარი დოპინგ-ტესტის გავლაზე არ ჩაითვლება დანაშაულად, რადგან შემოწმება წინასწარი სატელეფონო ზარის გარეშე ხორციელდებოდა.

კალათბურთი

ლებრონი კლივლენდში რჩება

„კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი მომავალი სეზონისთვის თავის ამჟამინდელ გუნდში დარჩება, - წერს The Athletic. ინტერნეტგამოცემის მონაცემებით, 33 წლის კალათბურთელმა გადაწყვიტა, გააქტიუროს კონტრაქტის გაგრძელების პუნქტი, რომლითაც ის დარჩება კლუბში და ამის სანაცვლოდ, 35.6 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჯეიმსმა გადაწყვეტილება 29 ივნისამდე უნდა მიიღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი ივლისიდან შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდება.

აღვნიშნავთ, რომ ლებრონ ჯეიმსზე მთავარი პრეტენდენტები არიან - „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და „ჰიუსტონი".

ჯეიმსი „კლივლენდში" 2014 წლიდან თამაშობს.

პოლი ისევ ჰიუსტონელია

„ჰიუსტონ როკეტსის" გამთამაშებელი კრის პოლი ახალ კონტრაქტზე მოელაპარაკა თავის ამჟამინდელ კლუბს. ESPN-ის მიმომხილველ ადრიან ვოინაროვსკის ინფორმაციით, განახლებული ხელშეკრულება ოთხწლიანი იქნება.

პოლი ამ ოთხი წლის განმავლობაში 160 მილიონ დოლარს მიიღებს და ამით ის გახდება ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი NBA-ში.

გასულ სეზონში, 33 წლის პოლმა რეგულარული სეზონის 58 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ, 18.6 ქულა, 7.9 შედეგიანი პასი, 5.4 მოხსნა და 1.7 ჩაჭრა დააგროვა. პლეი ოფში მისი საშუალო მონაგარი 21.7 ქულას, 5.9 მოხსნას, 5.8 შედეგიან გადაცემასა და 2.0 ჩაჭრას შეადგენდა.

შეგახსენებთ, „ჰიუსტონმა" მოიგო 2017-18 წლების რეგულარული სეზონი, მაგრამ პლეი ოფში „გოლდენ სტეიტთან" დამარცხდა დასავლეთი კონფერენციის ფინალში.

ჯორდანი დალასში გადადის

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრმა დეანდრე ჯორდანმა უარი თქვა 2018-19 წლების სეზონისთვის კონტრაქტის გაგრძელების პუნქტზე და პირველ ივლისს, შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდა, - იტყობინება ESPN.

კალათბურთელთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი „დალასში" გააგრძელებს კარიერას.

გასულ სეზონში 29 წლის ჯორდანმა 77 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ, 12.0 ქულა და 15.2 მოხსნა დააგროვა.

კერი გოლდენ სტეიტს მოელაპარაკა

„გოლდენ სტეიტმა" და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სტივ კერმა კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე მოილაპარაკეს, - ამის შესახებ ESPN-მა დაწერა.

ახალი ხელშეკრულების დეტალები უცნობია, თუმცა, ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, კერი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახდება.

2014 წელს, კერმა „უორიორზთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამის შემდეგ, კალიფორნიელებმა ზედიზედ ოთხ ფინალში მიიღეს მონაწილეობა და სამი ტიტული მოიპოვეს.

დურანტი უორიორზს მოელაპარაკა

NBA-ის მოქმედი ჩემპიონის „გოლდენ სტეიტის" მსუბუქი ფორვარდი კევინ დურანტი მოელაპარაკა კლუბს ორწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც, ჯამში 61.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

როგორც ESPN იტყობინება, გარიგებას 6 ივლისის შემდეგ გააფორმებენ. კონტრაქტის პირობების თანახმად, დურანტს შეეძლება ხელშეკრულების გაწყვეტა ერთი წლის შემდეგ.

გასულ სეზონში დურანტმა რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ, 26.4 ქულა, 6.8 მოხსნა და 5.4 მოხსნა დააგროვა. პლეი ოფში ანალოგიური მაჩვენებლები იყო - 29.9 ქულა, 7.8 მოხსნა და 4.7 შედეგიანი პასი.

NBA-ს ისევ სილვერი წარმართავს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა ადამ სილვერმა ლიგასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, - იტყობინება ESPN. განახლებული ხელშეკრულება ხუთწლიანი იქნება. გარიგების ფინანსური დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

სილვერი NBA-ის კომისარი 2014 წლის 1 თებერვალს გახდა. მან ამ პოსტზე დევიდ სტერნი შეცვალა. სტერნი, თავის მხრივ, 30 წელი იყო NBA-ის კომისარი - 1984 წლიდან მოყოლებული. სილვერი კი ლიგაში 1992 წლიდან მუშაობს.

უნდა აღინიშნოს, რომ სილვერმა თავი გამოიჩინა 2011 წელს, როცა კალათბურთელების გაფიცვის დროს, წამყვანი ფიგურა გახდა მოთამაშეებსა და კლუბების მფლობელებს შორის მოლაპარაკებებისას. მაშინ, სილვერმა მფლობელებს წელიწადში 300 მილიონი დოლარი შეუნარჩუნა.

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000

დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი გია თვალაბეიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი;

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა/ა GE19CR0120007000043608

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!